



ევროკავშირი
საქართველოსთვის

CENN

ჩოხათაუროის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

(2024 – 2029 წწ)

მარტი 2024

მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების
მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის



დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე
სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ
გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



1. მეთოდოლოგია.....	5
2. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი – LAG	6
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა.....	9
3.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება	9
3.2 რელიეფი და ლანდშაფტი; ნიადაგსაფარი და წიაღისეული	10
3.3 ჰიდროგრაფიული ქსელი	11
3.4 კლიმატი	13
3.5 სტიქიური გეოლოგიური პროცესები.....	13
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა	14
4.1 მოსახლეობა და დემოგრაფია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში	14
4.2 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური მდგომარეობა.....	15
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის მიმოხილვა და ანალიზი.....	18
5.1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი	18
5.2 სოფლის მეურნეობის დარგის SWOT-ანალიზი	20
6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა	28
6.1 ბუნებრივი რესურსები და ძირითადი ტურისტული ღირებულებები	29
6.2 ბუნებრივი რესურსები და გარემო	29
6.3 შექმნილი (ხელოვნური) გარემო, ინფრასტრუქტურა	30
6.4 მასპინძლობა, ეკოტურისტული პროდუქტები და მომსახურების მიმწოდებლები	31
6.5 ტურისტული მოთხოვნა	32
6.5.1 საერთაშორისო და ეროვნული ტურისტული ბაზრები	32
6.5.2 ტურისტების სტატისტიკა	33
6.5.3 ძირითადი გამოწვევები და ტურისტული პროდუქტების განვითარების პოტენციალი ჩოხატაურში.....	33
6.6 ტურისტული პოტენციალის SWOT-ანალიზი.....	35
6.7 რეკომენდაციები	39
7. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა	40
7.1 ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის SWOT-ანალიზი	46
7.2 რეკომენდაციები	47
8. ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება	48
8.1 ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარების დარგის SWOT-ანალიზი.....	48
9. გარემოს დაცვა.....	51
9.1 გარემოს დაცვის მიმართულების SWOT-ანალიზი	51

10. განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები	52
განათლება.....	53
10.1 განათლების მიმართულების SWOT-ანალიზი	58
10.2 რეკომენდაციები	60
ახალგაზრდები	60
10.3 ახალგაზრდების მიმართულების SWOT-ანალიზი.....	64
10.4 რეკომენდაციები	64
სპორტი	65
10.5 სპორტის მიმართულების SWOT-ანალიზი	68
10.6 რეკომენდაციები	68
11. კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა.....	69
11.1 საჯარო პარტნიორობისა და კარგი მმართველობის მიმართულების SWOT-ანალიზი ...	70
12. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.....	73
12.1 სოფლის მეურნეობა.....	73
12.2 ტურიზმი	84
12.3 ჯანდაცვა და სოციალური დაცვა	85
12.4 ადგილობრივი ეკონომიკა და მეწარმეობა	86
12.5 გარემოს დაცვა	89
12.6 განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები	90
12.7 კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა	91
13. მონიტორინგი და შეფასება	91
14. რეგიონული განვითარების პროექტების დაგეგმვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში	92

1. მეთოდოლოგია

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია ეფუძნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ხედვას მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით.

სტრატეგიის მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით. სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგებია: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სიღარიბის დონის შემცირება, მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და არსებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება LEADER-მიდგომასა და პრინციპებს, რაც გულისხმობს სამუშაო პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მრავალმხრივი ჩართვის უზრუნველყოფას, რათა უკეთ გამოიკვეთოს და შეფასდეს მისი საჭიროებები. ასეთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული ამოცანის სრულყოფილად შესრულების მიზნით სტრატეგიის შემუშავების პირველივე ეტაპზე ჩოხატაურის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს ჩაუტარდა ინტენსიური ტრენინგები LEADER-პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მოიცავს ანალიტიკურ და სტრატეგიულ ნაწილს, მათ შორის, მონიტორინგსა და შეფასებას. სტრატეგიის ანალიტიკური ნაწილი გულისხმობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის რაოდენობრივ ანალიზს სხვადასხვა თემატური მიმართულებით. სტრატეგიის მომზადების პირველ ეტაპზე რაოდენობრივი ანალიზი განხორციელდა CENN-ისა და პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ („ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, „დემოკრატიის ინსტიტუტი“ და „ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“) და მოიცავდა როგორც არსებული ლიტერატურის¹ მიმოხილვას, ასევე სხვადასხვა თემატურ თუ ფონურ კვლევას. მუნიციპალიტეტის რაოდენობრივი ანალიზის გამყარების მიზნით ჩატარდა თვისებრივი კვლევა და დარგების მიხედვით მომზადდა ე.წ. SWOT-ანალიზი სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. SWOT-ანალიზში დეტალურად არის განხილული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სფეროები, რის შედეგადაც გამოიკვეთა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამოქმედო არეალი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ანალიტიკურ ნაწილს საფუძვლად დაედო შემდეგი თემატური კვლევები:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებები;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი.

სტრატეგიული ნაწილი მოიცავს ანალიტიკური ნაწილის გათვალისწინებით გამოკვეთილ თე-

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027; საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები; სოციალური მომსახურების სააგენტოს პუბლიკაციები


მებსა და საჭიროებებს, რომლებიც შეთანხმებულია LAG-ის მმართველ საბჭოსთან და რომელ-
თა პრიორიტეტულობაც ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სექტორულმა ჯგუფებმა აღიარეს.

2. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი – LAG


ჩოხატაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი – LAG – არის საზოგადოებრივი გაერთიანე-
ბა, რომელიც შედგება კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებისაგან და
ეფუძნება ნებაყოფლობითი წევრობის პრინციპს.

LAG-ის წევრობა, შემადგენლობა (ორგანიზაციული სტრუქტურა), შერჩევის პროცესი, როტა-
ციის პოლიტიკა და სხვა ინსტიტუციური საკითხები რეგულირდება LAG-ის წესდების მიხედვით.
წესდების თანახმად, LAG-ს მართავს თავმჯდომარე, რომელიც აკონტროლებს მის საქმიანობას.
თავმჯდომარეს დახმარებას უწევს ორი თანათავმჯდომარე. თავმჯდომარესა და თანათავმჯდო-
მარეებს LAG-ის წევრები ირჩევენ.

CHOKHATAURI LAG | ჩოხატაურის სამოქმედო განვითარების ჯგუფი



LAG-ის საქმიანობა ემყარება LEADER-მიდგომის შვიდ ძირითად პრინციპს:



პროექტ „მწვანე გურიის“ ფარგლებში თანამონაწილეობრივი მიდგომის გზით განისაზღვრა LAG-ის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩოხატაურის LAG-ის ძირითადი მიზანია შემდეგი მიმართულებების ხელშეწყობა:

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის პარტნიორობის გზით
- სოფლის ინკლუზიური განვითარება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით, სიღარიბის შემცირების პროცესის ხელშეწყობითა და მწვანე ზრდის მხარდაჭერის გზით
- სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა – საუკეთესო და კონკურენტუნარიანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა/წახალისება
- სამეწარმეო უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა – ადგილობრივი ბიზნესის, მეწარმე სუბიექტებისა და სტარტაპების მხარდაჭერა
- გარემოს დაცვა – ბუნებრივი რესურსების მართვის, კატასტროფების რისკის შემცირების და გარემოსდაცვითი საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა
- სოფლის განვითარების პროცესებში ქალებისა და ახალგაზრდების ჩართვის ხელშეწყობა
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

- ადგილობრივ დონეზე ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა
- ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების მხარდაჭერა
- ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესების მხარდაჭერა

პროექტ „მწვანე გურიის“ ფარგლებში LAG ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

- განსაზღვრავს სოფლის განვითარებისათვის საჭირო პრიორიტეტებს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე;
- ადგილობრივი თემის მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად ავლენს მისი საცხოვრებელი გარემო პირობებით გამოწვეულ საჭიროებებს;
- ადგენს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას (LDS) ეროვნული სტრატეგიების შესაბამისად;
- მოსახლეობას აწვდის სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესახებ;
- ავრცელებს ინფორმაციას საზოგადოებაში საგრანტო განაცხადების წარდგენის ყველა პროცედურის შესახებ და განმარტავს მათ;
- კარგი მმართველობის პრაქტიკის დასანერგად და ხელშესაწყობად ქმნის ადგილობრივ საჯარო ინსტიტუტებთან ღია და გამჭვირვალე თანამშრომლობის მექანიზმებს.

ჩოხატაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან.

მმართველმა საბჭომ, გენერალური ასამბლეის სექტორულ ჯგუფებთან ერთად, განსაზღვრა პრიორიტეტები და საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის მიმართულებები, რომელთა განვითარებაც უპასუხებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამოწვევებს და სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს.

ეს მიმართულებებია:

- სოფლის მეურნეობა
- ტურიზმი
- ეკონომიკური განვითარება და მეწარმეობა
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები
- ჯანდაცვა და სოციალური სერვისები
- გარემოს დაცვა
- კარგი საჯარო მმართველობა

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა

3.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

გურიის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, შავ ზღვასა და მესხეთის ქედს შორის. გურიას სამხრეთიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – სამცხე-ჯავახეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – იმერეთის და ჩრდილოეთიდან – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები. გურიის ფართობია 2,033 კმ², რაც ქვეყნის ტერიტორიის 2,9%-ია. გურიის რეგიონი ბუნებრივი პირობების მიხედვით ორ – ბარისა და მთის – ნაწილად იყოფა.

გურიის რეგიონში მოქმედებს სამი თვითმმართველი ერთეული: ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები. რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. ოზურგეთშია განთავსებული. ქ. ოზურგეთი დედაქალაქიდან 325 კმ-ით არის დაშორებული.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჩოხატაურს დასავლეთით ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – აჭარა-გურიის ქედი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აღმოსავლეთით – სამტრედიის, ხოლო ჩრდილოეთით – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 834 კმ²-ს. ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ჩოხატაური.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ფართობია 825,1 კმ². ტერიტორიის 60 % ზეგნებსა და მთებს უკავია, ტყეებს – 34,772 ჰა (მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 66,4 %). მწვერვალი მეფისწყარო მდებარეობს ზღვის დონიდან 2,850 მეტრზე, ხოლო კურორტი ბახმარო – 1,926-2,050 მეტრზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა საკურორტო რესურსებით. აქ მდებარეობს კურორტი ბახმარო (შესაძლებელია სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადებების, სისხლნაკლებობის, ნევრასთენიის, ლიმფადენიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა, სეზონი – ივნისი-სექტემბერი) და კურორტი ნაბელღავი (შესაძლებელია ისეთი დაავადებების მკურნალობა, როგორიცაა ქრონიკული გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ქრონიკული კოლიტი და ენტეროკოლიტი, ქრონიკული ჰეპატიტები, ქრონიკული ქოლეცისტიტი, ნალველ-კენჭოვანი დაავადებები, ქრონიკული პანკრეატიტი, შაქრიანი დიაბეტის ინსულინდამოუკიდებელი ფორმა, ენდოკრინული ეტიოლოგიის და ალიმენტური სიმსუქნე).



3.2 რელიეფი და ლანდშაფტი; ნიადაგსაფარი და წიაღისეული

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი მთაგორიანია. მთავარი ოროგრაფიული ერთეულებია: მესხეთის ქედი და მისი შტოქედები, მდ. სუფსისა და მისი შენაკადების ხეობები. ტერიტორია 825 კმ-ია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები სუფსა, გუბაზეული და ხევისწყალი. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა მინერალური საღებავები, პირიტი, საშენი ქვები, აგრეთვე მინერალური წყლები („ნაბელავი“, „კოხნარი“, „მოტი“).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია: მთა-ტყის ზონაში – ყვითელ-ყომრალი ნიადაგები წითელი გამოფიტვის ქერქზე, ზღვის დონიდან 100-300 მ სიმაღლის ფარგლებში – წითელმიწები, ხოლო მდინარეთა სანაპირო ზოლში – ალუვიური ნიადაგები.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგები ჰუმუსის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო მდიდარია აზოტით, შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილია ფოსფორით, განსაკუთრებით კალიუმით. კარგი ფიზიკური თვისებების გამო ნიადაგს აქვს მაღალი წყალგამტარობის უნარი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროზიული პროცესების შენელება-შეზღუდვის თვალსაზრისით.

წითელმიწებზე გაშენებულია სუბტროპიკული კულტურების მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე ჩაის პლანტაციები. ამ ნიადაგებში კალციუმის, მაგნიუმის, კალიუმის, ფოსფორის, აზოტის დეფიციტი მოითხოვს მათ მუდმივ შეტანას უხვი მოსავლის მისაღებად.

ალუვიური ნიადაგები, როგორც წესი, დაბალი ბუნებრივი ნაყოფიერებით ხასიათდება და საჭიროებს სათანადო ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უნდა გამომდინარეობდეს ამ ნიადაგების სპეციფიკიდან.

მდინარე სუფსისპირა დაბლობ ვაკეზე – ალუვიური, ხოლო ტერასებზე საშუალო და დიდი სისქის სუბტროპიკული ეწერი ნიადაგებია. გორაკ-ბორცვიან ზონაში განვითარებულია წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. დაბალ და საშუალო სიმაღლის მთებში უმეტესად ტყის ყომრალი ნიადაგია, უფრო ზემოთ – გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგი. ტყის სარტყლის ზემოთ, მაღალმთიანეთში, კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთა-მდელოს ნიადაგებია ჩამოყალიბებული. ციცაბო ადგილებში გვხვდება ძლიერ ხირხატიანი ნიადაგი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია ნოტიო სუბტროპიკული დაბლობი ვაკის, მთა-ტყის და მთა-მდელოს ლანდშაფტის ტიპების შემდეგი სახეები:

- დახრილი დაბლობი ვაკე კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით;
- ბორცვიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით;
- დაბალი და საშუალო სიმაღლის მთები წიფლისა და მუქწიწვიანების ტყეებით, ტიპური და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- სუბალპური ტყეები და მდელოები მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგებით;
- ალპური მდელოები მთა-მდელოს ნიადაგებით.

3.3 ჰიდროგრაფიული ქსელი

გურიის რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით – მდინარეებით, ტბებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით, მინერალური წყლებით და თერმული წყლის რესურსით. გურიაში სულ 25 საშუალო და მცირე ზომის მთის მდინარე ჩამოედინება, რომელთა საერთო სიგრძე 598 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზების საერთო ფართობი 1,000 კმ²-ზე მეტია. რეგიონში არის 3 ტბა (საერთო ფართობი რეგიონში 3,5 კმ²-ია) და 3 წყალსაცავი (საერთო ფართობი – 4,4 კმ²). 2011 წელს ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან წყლის აღებამ – 95 მლნ მ³, ხოლო წყლის გამოყენებამ 94,4 მლნ მ³ შეადგინა. 2011 წლის წყალაღების მონაცემების თანახმად, რეგიონში მოპოვებული წყლის რესურსების (მიწისქვეშა და ზედაპირული წყალი) 96% გამოიყენება ჰიდროენერგეტიკაში, 2% – სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო დანარჩენი – სამრეწველო, სარწყავი და რეკრეაციული დანიშნულებით. გურია ესაზღვრება ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის შავ ზღვას.

გურიაში მოიპოვება მინერალური წყლები – „ნაბელღავი“ (მარაგი – 101,9 მ³ დღე-ღამეში) და „გულიანი“ (მარაგი დაუდგენელია). „ნაბელღავის“ წარმოება კარგად არის განვითარებული და იგი რეგიონის ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. რეგიონში არსებული მინერალური წყლის რესურსის რეკრეაციული და საკურორტო დანიშნულებით გამოყენება შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო შეზღუდულია. ასევე გამოყენებულია თერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალი. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული, უნიკალური ბალნეოლოგიური თვისებებით ცნობილი შავი ზღვის სანაპირო ზონის პოტენციალი (ურეკი-შეკვეთილი-ნატანების მაგნიტური ქვიშის პლაჟები) მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული, რასაც, არსებითად, წყალგაყვანილობის, საკანალიზაციო სისტემებისა და შესაბამისი გამწმენდი ნაგებობების არარსებობა განაპირობებს².

² <http://guria.gov.ge/geo/static/200?fbclid=IwAR1l6IVhsrHCGSxjh3awzXMgPPI1J6IZyPL6ZvGbxejR0i1Q0hP48c7aTI>

წყლის რესურსების პოტენციალი ჰიდროენერგეტიკაში არ არის ეფექტიანად გამოყენებული. მხარის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები იძლევა საშუალებას, გურიის მდინარეებზე აშენდეს მცირე ჰესების კასკადები (საერთო სიმძლავრით – 80-100 მგვტ), რაც არამხოლოდ დააკმაყოფილებს მხარის ენერგეტიკულ მოთხოვნებს, არამედ შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის რეალიზაციაც და ამით შემოსავლის დამატებითი წყაროს შექმნა. გურიის ტერიტორიაზე ორი მოქმედი ჰესია – ბჟუჟჰესი (მდინარე ბჟუჟზე) და აჭჰესი (მდინარე აჭზე), რომელთა საერთო სიმძლავრე 12,8 მგვტ-ს შეადგენს. ორივე ჰესი ჩართულია საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში. 2007 წლიდან აქტიურად დაიწყო „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ კასკადური ჰესების მშენებლობა, რომლებიც 6 ერთეულისაგან შედგება და, საერთო ჯამში, 60 მგვტ-ს გამოიმუშავებს. ამჟამად ეწყობა მშენებლობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. აქტიურად მიმდინარეობს ზოტიჰესის საპროექტო სამუშაოები და საინვესტიციო წინადადებების მომზადება. აღსანიშნავია, რომ რეგიონის გეოდინამიკური პოტენციალისა და მაღალი რისკის გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონის მოსახლეობის უსაფრთხოების, ისე გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჰიდროგრაფიული ქსელის ძირითად არტერიას წარმოადგენს მდინარე სუფსა, რომელიც სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მწვერვალ მეფისწყაროსთან, ზღვის დონიდან 2,800 მეტრ სიმაღლეზე. ის ერთვის შავ ზღვას სოფელ გრიგოლეთთან. მისი სიგრძე 117 კილომეტრია, მდინარის აუზის ფართობი – 1,130 კმ². მთავარი შენაკადებია: გუბაზეული, ბახვისწყალი, ბარამიდისწყალი, შუთი.

მდინარე სუფსის მთავარი შენაკადი, მდინარე გუბაზეული, სათავეს იღებს მესხეთის ქედზე, გომისციხის მთასთან, ზღვის დონიდან 2,210 მ სიმაღლეზე. მისი სიგრძე 47 კმ-ია, მდინარის აუზის ფართობი – 371 კმ². მთავარი შენაკადებია ხანისწყალი და კალაშა. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით.

მდინარე ბარამიდისწყალი, სუფსის კიდევ ერთი შენაკადი, რომელიც უერთდება მთავარ მდინარე სუფსას სოფელ ზემო სურებთან, ჩოხატაურის წყლის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სხვა მრავალ მცირე მდინარესთან ერთად, არსებობს მდინარეების, ბახვისწყლისა და ხევისწყლის, ზემო დინებები.

მდინარე ბჟუჟი ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს შორის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის მდინარეები იკვებება წვიმის, თოვლის ნადნობი და მიწისქვეშა წყლებით, რაც განაპირობებს მათ მრავალფეროვნებას და უწყვეტი წყალსარგებლობის წინაპირობას.

მიწისქვეშა წყლების უხვი მარაგი გამოიყენება მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისთვის. ამასთან, მიწისქვეშა წყლების მდგრადი მართვისა და რესურსების გრძელვადიანი ხელმისაწვდომობისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს მუნიციპალიტეტის ჰიდროგეოლოგიური კვლევები.

მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების გარდა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ღირებულ ბუ-

ნებრივ რესურსს წარმოადგენს მინერალური წყაროები, რომლებიც სასმელი წყლის, რეკრეაციული და სამკურნალო/თერაპიული გამოყენების უნიკალურ პოტენციალს ფლობს. ეს წყაროები რეგიონის კულტურული და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობი ფაქტორებია.

3.4 კლიმატი

გურიის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი ძლიერ მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ. კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების პროგნოზის მიხედვით, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა გურიაში 2070 წლისთვის 2.40°C-ით, 2100 წლისათვის კი 3.10°C-ით მოიმატებს; ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა დაიკლებს: 2070 წლისათვის – 7%-ით, 2100 წლისათვის – 4%-ით.

აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების ფონზე საშუალო წლიური ტემპერატურის მატების შედეგად ბოლო ოცი წლის განმავლობაში შავი ზღვის დონემ უკვე აიწია 20 სმ-ით³, რასაც თან დაერთო გაძლიერებული შტორმები, ტალღების ბალიანობის ზრდა და ტალღების მიმართულების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ქარების მიმართულების ცვლილებასთან. აღნიშნული პროცესები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზღვის სანაპირო ზოლისათვის, ვინაიდან საფრთხეს უქმნის სანაპიროზე არსებულ ინფრასტრუქტურას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჰავა ხასიათდება სიმაღლეებრივი ზონალობით. ბარში ზღვის დონიდან 500–600 მეტრამდე ზღვის სუბტროპიკული ჰავაა, მთებში – ნოტიო, მაგრამ ზომიერად თბილი და გრილი. საშუალო წლიური ტემპერატურა ბარში (ნაბეღლავი) 12,1°C-ია, მაღალ მთაში (მთა მეფისწყარო, ბახმარო) – 0–4°C. იმავე პუნქტებში იანვრის საშუალო ტემპერატურაა 3,6°C, 10°C და -5,2°C, აგვისტოსი – 20,2°C, 8°C და 13,4°C. აბსოლუტური მინიმუმი 19°C-სა და 35°C-ს შორის მერყეობს, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი 39–26°C-ია. წელიწადში საშუალოდ 1,500–1,870 მმ ნალექი მოდის. მდგრადი თოვლის საფარი ბარში იშვიათია. მთაში თოვა 5–6 თვეს გრძელდება. გაბატონებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები, ხშირია მთა-ხეობათა ქარი.

3.5 სტიქიური გეოლოგიური პროცესები

გურიის რეგიონი მორფოლოგიური პირობების მიხედვით ორ – ბარისა და მთის – ნაწილად იყოფა. საზღვარი მათ შორის ზღვის დონიდან 500–600 მეტრ სიმაღლეზე გადის. კოლხეთის დაბლობის ნაწილს გურიის წინამთების გორაკ-ბორცვიანი ზოლი მისდევს. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი წარმოადგენს ტექნოგენურად ყველაზე მეტად დატვირთულ ტერიტორიას, სადაც მკვეთრად არის გამოხატული ადამიანის ნეგატიური სამეურნეო საქმიანობა და მისგან გამოწვეული საშიში გეოლოგიური პროცესები. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-გააქტიურების ხარისხი საშუალო მრავალწლიური ფონის დონეზე დაბალი იყო, ხოლო ცალკეულ უბნებზე შეინიშნებოდა მეწყერების ჩასახვა-გააქტიურების მომატების ტენდენცია, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოსახლეობას და სოფლის ინფრასტრუქტურას.

გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-გააქტიურებაში, სხვადასხვა გეოლოგიური გარემოს პი-

³ https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/climate-change-strategy-of-ajara-.html

რობებში, უმთავრეს როლს კლიმატური ფაქტორები ასრულებს. კლიმატის მკვეთრი ცვლილება და ატმოსფერული ნალექების სიჭარბე, რასაც თან სდევს მეტეოროლოგიური აგენტების (თავ-სხმა წვიმები, თოვლი და სხვ.) პერიოდული გახშირება ან მკვეთრი შემცირება, მყისიერად აი-სახება საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურებაზე, რაც იწვევს უარყოფით ზემოქმედებას ინფრასტრუქტურულ ობიექტებსა და მოსახლეობაზე.

გეოლოგიური პროცესების გააქტიურება, სხვა ფაქტორებთან ერთად (გეოლოგიური, მორ-ფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სხვ.), მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ატმოსფე-რული ნალექების რაოდენობასა და მის სეზონურ განაწილებასთან. ბოლო წლების მონაცემ-ების გაანალიზების შედეგად, სურათი ნათლად აჩვენებს კლიმატური ფაქტორის (ატმოსფერული ნალექების რაოდენობა) მნიშვნელოვან როლს გეოლოგიური პროცესების ჩასახვასა და მათ გააქტიურებაში.

მთლიანად გურიის რეგიონში სხვადასხვა სახის სტიქიური გეოლოგიური პროცესების მე-ტ-ნაკლები ზემოქმედების არეალში მოქცეულია 180 დასახლებული პუნქტი. მათ შორის მაღალი რისკის ქვეშ მოქცეულია 56, საშუალო რისკის ქვეშ – 61 და დაბალი რისკის ქვეშ – 63, ხოლო ძლიერ დაბალი რისკის ქვეშ – 13 დასახლებული პუნქტი⁴.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა

4.1 მოსახლეობა და დემოგრაფია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 17,500 კაცს შეადგენს. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე არის 51.3 კაცი/კმ² (გურიის რეგიონში).


მოსახლეობის რაოდენობა და წილი გურიაში მუნიციპალიტეტების მიხედვით (2023 წელი)			
№	მუნიციპალიტეტი	ათასი კაცი	%
	გურია სულ	104.8	100%
1	ჩოხატაური	17.5	16.5 %
2	ლანჩხუთი	29.3	28 %
3	ოზურგეთი	58.1	55.5%

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების შემდეგ მესამე ადგილი უჭირავს – აქ ცხოვრობს გურიის რეგი-ონის მთლიანი მოსახლეობის 16.5%.

გურიის რეგიონში მოსახლეობის 97,2% ქართველია. ძირითადად ცხოვრობენ გურულები, ასევე აჭარლები. აგრეთვე ცხოვრობენ სომხები (1,8%) და რუსები (0,6%). მოსახლეობის უმრავ-ლი ნაწილი დასახლებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

⁴ საინფორმაციო ბიულეტენი; საქართველოში 2022 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2023 წლისთვის; თბილისი 2023 – გეოლოგიის დეპარტამენტი


ვლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია – 88%, 10%-ს შეადგენენ მუსლიმები. მოქმედებს 4 მეჩეთი, მათ შორის, ორი მედრესეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ასევე სხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენელთა მცირე ჯგუფები: იეჰოვას მოწმეები და „მე-ს“-ის („მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში“, ე.წ. ბოსტონის დაჯგუფება) წევრები.



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კლება, ძირითადად, 1994 წლიდან ფიქსირდება, რაც დიდწილად მოსახლეობის სასოფლო დასახლებებიდან ქალაქებში მიგრაციას უკავშირდება.

4.2 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოციალური მდგომარეობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა რაოდენობა 2012-2018 წლებში მეთ-ნაკლებად სტაბილური ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2018 წლიდან დღემდე მათი რიცხვი გასულ წლებთან შედარებით მკვეთრად გაზრდილია. 2022 წელს სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა რიცხვმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 936 კაცს მიაღწია.



ამავე სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, გურიის რეგიონში 2022 წელს სოციალური პაკეტით ისარგებლა 1,961-მა ქალმა და 3,824-მა კაცმა, სულ – 5,785-მა პირმა.

აღნიშნული მონაცემები ცალსახად მიუთითებს მუნიციპალიტეტსა და რეგიონში ეკონომიკური ინვესტიციების საჭიროებაზე, ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე, ახალგაზრდების მიგრაციის

შემცირების საჭიროებასა და სხვა ისეთ კრიტიკულ საკითხებზე, რომლებსაც ყურადღება უნდა დაეთმოს LAG-ის მხრიდან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, გურიის რეგიონში 2022 წელს პენსიის მიმღებთა რაოდენობა 27,049 ადამიანს შეადგენდა; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კი იმავე წელს პენსიის მიმღებთა რაოდენობა 4,592 იყო. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო წლების სტატისტიკა ასეთია:

პენსიის მიმღებთა რაოდენობა (2022 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით)		
№	მუნიციპალიტეტი	ბენეფიციართა რაოდენობა
1	ჩოხატაური	4,592
2	ლანჩხუთი	7,283
3	ოზურგეთი	15,174
	გურიის რეგიონი	27,049


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საჯარო სკოლამდელი სააღმრდელო დაწესებულებების აღსაზრდელების რიცხვი, ბოლო წლების მონაცემებით, კლებულობს. რაც შეეხება აღმზრდელ-პედაგოგებს, აღმზრდელების თანაშემწეებს ან ინკლუზიური განათლების სპეციალურ პედაგოგებს, დროის იმავე მონაკვეთში მათი რაოდენობა მზარდ დინამიკას აჩვენებს.

საბავშვო ბაღებისა და აღსაზრდელების რაოდენობა გურიის რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული)					
№	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	წლები			
		2017/2018	2018/2019	2019/2020	2020/2021
1	სკოლამდელი სააღმრდელო დაწესებულებების რაოდენობა	19	19	20	20
2	აღსაზრდელო რაოდენობა	600	681	634	574
3	აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი	62	43	85	92

რაც შეეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობას, აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს მონაცემი უმნიშვნელოდ გაიზარდა. დღეს მუნიციპალიტეტში 20 ასეთი დაწესებულებაა, რომლებშიც აღსაზრდელოა რიცხვი დროის იმავე მონაკვეთში კლების ტენდენციით ხასიათდება. 2017 წლისთვის არსებული რაოდენობა აღსაზრდელებისა – 600 – 2022 წლისთვის 574-მდე შემცირდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის მხრივ, გურია ერთ-ერთი მოწყვლადი რეგიონია მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის შემდეგ.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა
რეგიონების მიხედვით, 2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის,
ერთეული**



რეგიონში ფუნქციონირებს 104 საჯარო და 4 სამრევლო სკოლა, რომლებშიც სულ 16,009 მოსწავლე სწავლობს (ლანჩხუთი – 3,991, ოზურგეთი – 9,518, ჩოხატაური – 2,500). სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობაა 2,714, ხოლო ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის რიცხვი – 850. რეგიონში არსებული სკოლების უმრავლესობა საფუძვლიან რეაბილიტაციას საჭიროებს. ბავშვებისთვის სკოლების ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა თითქმის სრულად არის გადაჭრილი.

რეგიონში ფუნქციონირებს 10 მუსიკალური სკოლა და სასწავლებელი (ოზურგეთში – 7, ლანჩხუთში – 2, ჩოხატაურში – 1) და 15 ქორეოგრაფიული სტუდია (ოზურგეთში – 9, ლანჩხუთში – 4, ჩოხატაურში – 2).

მუნიციპალიტეტში არსებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სიგრძე 70 კილომეტრია, მათ შორის, ასფალტბეტონისა – 70 კმ; რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის გზას, იგი სულ 172 კმ-ია და აქედან 95 კმ ასფალტბეტონისაა, ხოლო 77 კმ მოხრეშილია.

მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზა სულ 200 კმ-ია. აქედან მოხრეშულია 156 კმ, ხოლო გრუნტის გზა 44 კმ-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სატრანსპორტო ორგანიზაცია „ტრანსპორტელი“ 17 ერთეული მიკროავტობუსით.

მოსახლეობა ქალაქად წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფილია 40%-ით, ხოლო სოფლად – 30%-ით. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი სარგებლობს არტეზიული ჭებითა და წყაროს წყლებით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მთლიანად გაზიფიცირებულია დაბა ჩოხატაურის მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილები, ნაწილობრივ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები: ჯვარცხმა, ხიდისთავი, გუთური, ფარცხმა, გორა-ბერეჟოული, ხოლო დანარჩენ სოფლებში მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი 100%-ით უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ნაგავსაყრელი მოწყობილია მხოლოდ დაბა ჩოხატაურში (საერთო ფართობი – 20,000 მ²).

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის მიმოხილვა და ანალიზი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მოსამზადებლად მიმდინარე წელს გაანალიზდა სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული კვლევები. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზი და ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია სამაგიდო კვლევა, რომელიც სტატისტიკური მონაცემებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზს მოიცავს. დოკუმენტი ეფუძნება აგრეთვე სავსე სამუშაოების ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების შედეგებს.

5.1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი

სოფლის მეურნეობას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ დარგში დასაქმებულია მოსახლეობის 75%. ადგილობრივი მცხოვრებლები, ძირითადად, თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და თავიანთ ოჯახურ მეურნეობაში საქმიანობენ. სოფლის მეურნეობა არ არის სათანადოდ მოდერნიზებული. ის მეტწილად ორიენტირებულია არა სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე, არამედ კომლის სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი და სოფლის მეურნეობის დაბალი დონე მუნიციპალიტეტში სიღარიბის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია და აგროწარმოების განვითარება მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ ამოცანად განიხილება. სერიოზული პრობლემაა მიწების პასპორტიზაციის საკითხი. დღემდე მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ 5-10%-ს აქვს დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საჯარო რეესტრში.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზებამ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში აგროსექტორში მიმდინარე ცვლილებებმა და სახელმწიფოს მხრიდან

ხელშეწყობამ დადებითი შედეგი გამოიღო, ფერმერთა საქმიანობას ჯერ კიდევ აფერხებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა არასათანადოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა, გადამამუშავებელი საწარმოების და სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობების სიმცირე, სოფლად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტი და ა.შ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცირე საოჯახო და ფერმერული მეურნეობები დომინირებს. ამ დარგში მუნიციპალიტეტის შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილია დასაქმებული.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მიეკუთვნება მცირემიწიანი რეგიონების რიცხვს, სადაც წვრილ ფერმერთა უმრავლესობა 0.05-1.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს ფლობს, რომლებიც თითქმის მთლიანად დანაწევრებულია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა შეადგენს 15,699 ჰა-ს, მათ შორის: სახნავი მიწები – 2,780 ჰა, სათიბი – 348 ჰა, საძოვარი – 10,010 ჰა, თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი – 319 ჰა, კაკლოვნები – 1,398 ჰა (მათ შორის, თხილი – 1,362 ჰა), სუბტროპიკული ხეხილი – 73 ჰა, ჩაი – 477 ჰა (საკრეფ მდგომარეობაში – 10 ჰა), ციტრუსი – 63 ჰა (მათ შორის, მანდარინი – 53 ჰა), ვაზი – 231 ჰა.

მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა შეადგენს 8,600 სულს, ცხენი 380 სულია, თხა – 1,680 სული, ღორი – 3,450 სული, ფრინველი – 77,554 ფრთა, ფუტკარი – 5,200 ოჯახი, საკალმახეები – 2 ერთეული, ხოლო წვრილი ფერმერული მეურნეობები – 449 (აქედან მეცხოველეობით დაკავებულია 146 ფერმერი, მეთხილეობით – 132, თაფლის წარმოებით – 169, ღვინის დაყენებით – 2).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დამოუკიდებელ, მცირე კერძო ფერმერულ მეურნეობათა შორის მიწების დანაწევრების პრობლემა ხელს უშლის სოფლის დასახლებების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, რადგან ცალკეულ ფერმერს მცირე მეურნეობაში თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიების დანერგვა და საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი წარმოების პროდუქციის დამოუკიდებლად გატანა თითქმის არ შეუძლია, რაც უარყოფითად აისახება ფერმერთა ოჯახების შემოსავალზე.

მცირე ფერმერულ მეურნეობათა მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ ფერმერთა უმეტესობას ხელი არ მიუწვდება კომერციულ ბანკებში გრძელვადიან სესხზე, რათა მრავალწლოვანი ნარგავები გააშენოს.

ამორტიზებული ან განადგურებულია მუნიციპალიტეტში არსებული წვენის, ჩაის, ტუნგის გადამამუშავებელი საწარმოები და ხილის მიმღები პუნქტები, ახალი კი არ იქმნება. არ არის სამაცივრე დანადგარები/მეურნეობები, რომელთა მეშვეობით გაკონტროლდებოდა ბაზარზე პროდუქციის გატანის სასურველი დრო. ამის გამო თვით ადგილობრივი ფერმერები ერთმანეთის კონკურენტებად გვევლინებიან, რაც იწვევს სარეალიზაციო ფასის კლებას. საბაზრო ეკონომიკის გაზრდილი მოთხოვნების პირობებში მხოლოდ ერთეულები თუ შეძლებენ, საკუთარი ძალებით უზრუნველყონ თანამედროვე ტექნოლოგიებით პროდუქციის წარმოება, შენახვა, გადამამუშავება და რეალიზაცია.

გურიის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო ფართობი ერთ ფერმერზე

0.9-დან 1.3-მდე ჰა-ს შეადგენს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კატეგორიები და ფართობები ასე ნაწილდება:

		ჩოხატაური
სულ სასოფლო სამეურნეო მიწები, ჰა	სულ	16,353.6
	კერძო	6,125.4
	სახელმწიფო	10,228.2
მათ შორის		
სახნავი მიწები, ჰა	სულ	2,420.0
	კერძო	2,413.0
	სახელმწიფო	7.0
მრავალწლოვანი ნარგავები, ჰა	სულ	1,803.2
	კერძო	1,593.0
	სახელმწიფო	189.2
სათიბი	სულ	239.7
	კერძო	239.7
	სახელმწიფო	0
საძოვარი, ჰა	სულ	10,188.6
	კერძო	21.5
	სახელმწიფო	10,032.0
საკარმიდამო, ჰა	სულ	1,723.1
	სახნავი	270.9
	მრავალწლოვანი	1,460.8
	სათიბი	0
	საძოვარი	0

არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზისა და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები გამოიკვეთა: მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეთხილეობა, მეჩაიეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა, ერთწლოვანი კულტურები (სასათბურე მეურნეობა), მეფუტკრეობა, კენკროვნები (მოცვი), აკვაკულტურა (მეკალმახეობა).

5.2 სოფლის მეურნეობის დარგის SWOT-ანალიზი

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად მომზადდა დარგის მიმართულებების SWOT-ანალიზი:

მეციტრუსეობა

ციტრუსი, რეგიონის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობაში წამყვან პროდუქტს წარმოადგენდა. მოძველებული ციტრუსის ბაღების პროდუქტიულობა წლების შემდეგ მცირდება. ამიტომაც გურიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებული ბაღების განახლება და ახალი ჯიშების გაშენება, რაც გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ არ განხორციელებულა. დღეისათვის რეგიონს სამრეწველო დანიშნულების ერთადერთი მანდარინის ჯიშ – ფართოფოთლოვანი უნშიუ – შემორჩა.

ამჟამად მსოფლიოს ციტრუსის მწარმოებელ ქვეყნებში ბევრი ახალი ჰიბრიდული ჯიშია გა-

მოყვანილი. გურიაში შესაძლებელია, შეიქმნას სადედე-სანერგე და სადემონსტრაციო ბაღები; უცხოეთიდან შემოტანილ იქნეს ახალი სუპერ-საადრეო, საადრეო, საგვიანო ჯიშების ნერგები, რომლებიც დაავადებებისა და ყინვის მიმართ გამძლე/მედევი იქნება. მათი ნაყოფის სარეალიზაციო ფასი, არსებულთან შედარებით, მაღალია.

გურიაში ციტრუსოვანთა ფართობის უდიდესი ნაწილი – 2,649 ჰა – მანდარინის ნარგავებს უჭირავს, ლიმონს – 206 ჰა, ფორთოხას კი – 123 ჰა.

მეციტრუსეობის, როგორც დარგის, განვითარებისთვის აუცილებელია ფართობებში სიმეჩხრის ლიკვიდაცია, ჯიშობრივი გაუმჯობესება, აგროტექნიკური ღონისძიებების, ასევე, აგროდაზღვევის პირობების კიდევ უფრო დახვეწა.

დარგისთვის ერთ-ერთ საყურადღებო პრობლემას წარმოადგენს ციტრუსების მავნებელ-დაავადებები, როგორიცაა ვერცხლისფერი ტკიპა, ქეცი, ხორკლიანობა და ა.შ. ისინი საგრძნობ ზიანს აყენებს მეციტრუსეებს, რადგან ნაყოფს სასაქონლო სახეს უკარგავს. მეციტრუსე იძულებულია, არასტანდარტული ნაყოფის ფასად ჩააბაროს დაზიანებული მოსავალი. აუცილებელია ამ მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ სათანადო აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ჩატარება.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სუბტროპიკული ჰავა (კლიმატური და ნიადაგური პირობები); ტრადიციული კულტურა; შესაძლებელია გადამუშავება-შენახვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში; საუკეთესო გემოვნური თვისებები	თანამედროვე აგროტექნოლოგიის არცოდნა; მცირე ზომის ბაღები არასტაბილური მოწოდება და არაერთგვაროვანი პროდუქტი; ახალი ბაღების არარსებობა; აღრიცხვის, კადასტრის არარსებობა; ახალგაზრდა ნერგების შეფუთვის (ყინვისგან დასაცავად) პრაქტიკის (ტექნოლოგია და შესაფუთი მასალები) არარსებობა; სერტიფიცირებული ლაბორატორიების მცირე რაოდენობა; სასაწყობე მეურნეობების მცირე რაოდენობა; მექანიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მცირე რაოდენობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
დახარისხებადი პროდუქტი (დაკალიბრება); შესაძლებელია გადამუშავება; მაღალი მოთხოვნა შიდა და გარე ბაზარზე	მოყინვა; მავნებელ-დაავადებების გავრცელება; ბაზარზე ფასის ხშირი ცვლილება

მეხილეობა

გურიის რეგიონის სოფლის მეურნეობაში გარკვეული ადგილი უკავია მეხილეობას. თესლოვანი ხილიდან აღსანიშნავია ვაშლისა და მსხლის ჯიშების მრავალფეროვნება. კურკოვანი ხილიდან გავრცელებულია ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი და ალუბალი.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოსახლეობაში დიდი ინტერესი გამოიწვია კივის კულტურამ (აქტინიდა). გურიის რეგიონში მეტ-ნაკლებად ყველა ოჯახს აქვს კივის მცირე ნარგაობა. რამდენიმე ფიზიკური და იურიდიული პირი ფლობს ასევე 1 ჰა-მდე კივის პლანტაციებს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში გაშენდა 5 ჰექტრამდე თესლოვან-კურკოვანი ხილის ბაღი.

გურიის რეგიონში გადამამუშავებელი მრეწველობიდან აღსანიშნავია მურაბების, ხილფაფების, წვენების, ღვინისა და თხილის წარმოება. პერსპექტიულია ხილის საშრობი საწარმოების აშენება ღირებულებათა ჯაჭვის სრულყოფისათვის.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
გემოვნური თვისებები; ჯიშთა მრავალფეროვნება; ადრეული მოსავალი	მცირემიწიანობა; არაშესაფერისი (მუავე) ნიადაგი; საგრანტო პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სირთულეები; სამაცივრე და გადამამუშავებელი მეურნეობების სიმცირე; მექანიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე; მიწების რეგისტრაციის პრობლემა; სპეციალისტების (აგრონომების) სიმცირე; ფერმერებსა და გადამამუშავებლებს შორის სუსტი კომუნიკაცია; არაკონკურენტული გარემო
შესაძლებლობები	საფრთხეები
აგროტურიზმის განვითარება; სანერგე მეურნეობების განვითარება; გადამამუშავებელი საწარმოები; ბიოპროდუქტების (შეუწამლავი პროდუქტების) წარმოების შესაძლებლობა	კლიმატური მოვლენები (ყინვები); მცენარეთა დაცვის ხარისხიან საშუალებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა

მეთხილეობა

XX საუკუნის 90-იან წლებში გურიაში მასობრივად დაიწყო თხილის კულტურის გავრცელება. სხვა კულტურებთან შედარებით, თხილს მრავალი უპირატესობა ახასიათებს. თხილის ნაყოფის რეალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ინვესტირებული კაპიტალის დიდი

ნაწილი სწორედ თხილის წარმოებასა და შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოებზე მოდის. სოფლის მეურნეობის ამ დარგს გურიაში შემდგომი განვითარების პერსპექტივა აქვს. რეგიონში თხილის კულტურის მიერ დაკავებული არეალი ყოველწლიურად იზრდება როგორც ახალი ფართობების, ისე ძველი, ტრადიციული კულტურების ამოძირკვის ხარჯზე. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, თხილის წარმოების მხრივ, ოდნავ ჩამორჩება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ხელსაყრელი კლიმატური და ნიადაგური პირობები; ადგილობრივ კლიმატზე მორგებული ჯიშები; ფერმერების მხრიდან ჩართულობა და ინტერესი; ცნობადი კულტურა; ჩოხატაურში არის გადამამუშავებელი და საშრობი საწარმოები; იძლევა უდანაკარგო წარმოების საშუალებას (თხილის გული, ნაჭუჭი ა.შ.)	გამოფიტული ნიადაგი; მუშახელის ნაკლებობა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე და მასზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წვრილი ფერმერებისთვის; შესაწამლავი აპარატების სიმცირე; შეზღუდული ხელმისაწვდომობა ხარისხიან სანერგე მასალაზე; აგროტექნოლოგიების შესახებ ფერმერების ცნობიერების დაბალი დონე; თხილის ხარისხის კონტროლის მექანიზმის არქონა; აგროდამზღვევის პაკეტების გამოუყენებლობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
ნიადაგის მართვა კვლევებზე დაფუძნებით; თხილის მწარმოებლებისთვის ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება, დაკავშირება ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებთან; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა	არასტაბილური ფასები; კლიმატური პირობები; მაგნებელ-დაავადებების გავრცელება

მეჩაიეობა

გურიის რეგიონში, ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, ჩაის ფოთლის წარმოება ყოველწლიურად მცირდება. რამდენიმე ასეულ ჰექტარზე წლის განმავლობაში დაახლოებით 1,000 ტ-მდე ჩაის ფოთოლი იკრიფება, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ბაზარზე ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნა და ფასები იზრდება, რაც არაერთი გამოკვლევით დასტურდება. ფართობების დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონის მოსახლეობის ნაწილის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ყველასათვის ცნობილია, რომ ადგილზე სამუშაოს არქონის გამო ათასობით ადამიანი გადადის ყოველწლიურად მეზობელ თურქეთში ჩაის ფოთლის საკრეფად.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ტრადიციული კულტურა; ხელსაყრელი კლიმატური პირობები; სათანადოდ მოვლის შემთხვევაში, ეკონომიკურად გამართლებული კულტურა	არასაკმარისი ფინანსური რესურსი ბალების რეაბილიტაციისთვის; კვალიფიციური კადრების სიმცირე; თანამედროვე გადამამუშავებელი და დამახარისხებელი დანადგარების არარსებობა; დარგისთვის საჭირო ბიზნესუნარების სიმწირე
შესაძლებლობები	საფრთხეები
აგროტურიზმის განვითარება; ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაცია; გადამამუშავებელი საწარმოების მოწყობა	ბუნებრივი კატასტროფები

მევენახეობა-მელვინეობა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ენდემური ჯიშების არსებობა; მევენახეობისთვის ხელსაყრელი რელიეფი; ადგილწარმოშობა; ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები; მთის და საზაფხულო კურორტების სიახლოვე	სანერგე მეურნეობის არარსებობა; ფინანსებზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა და არახელსაყრელი საბანკო პირობები; ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ფერმერების ცნობიერების დაბალი დონე; პროდუქტის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები; ნაკლებად დივერსიფიცირებული ბაზარი; მელვინეობის დანადგარების სიმცირე; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე; ღვინის ლაბორატორიის არარსებობა; არასათანადო ინფრასტრუქტურა (მარანი); კვალიფიციური კადრების (აგრონომები, მელვინეები, სომელიერები) სიმცირე; მუშახელის სიმცირე; საგანმანათლებლო პროგრამების სიმცირე; ბიუროკრატიული სირთულეები; სახელმწიფო პროგრამების სიმცირე; დაზღვევის არარსებობა; ფალსიფიცირებული ღვინო

შესაძლებლობები	საფრთხეები
მცირე მარნების ხელშეწყობა; აგროტურიზმი; ასოციაციებთან თანამშრომლობა; მაღალი ხარისხის პროდუქტის წარმოება; ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოძიება; კოოპერაცია; რეგიონის ეკონომიკური განვითარება; სერტიფიცირებული ნერგების წარმოება; ღვინის ხარისხის კონტროლი; ევროპული სტანდარტის პროდუქტის წარმოება; ნარჩენების მართვა, ორგანული სასუქების წარმოება, მეორეული პროდუქტების ხელახალი გამოყენება	კლიმატის ცვლილება და საგაზაფხულო წაყინვა; მავნებელ-დაავადებები; ფალსიფიცირებული პესტიციდები; ფალსიფიცირებული ნერგები

მესაქონლეობა

რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში მისდევენ მესაქონლეობას. ფერმერული ტიპის მეურნეობებში გავრცელებულია მომთაბარე მესაქონლეობა და გაზაფხულის ბოლოს საქონელს მთებში, ალპურ საძოვრებზე მიერეკებიან. თანდათანობით იკიდებს ფეხს ხელოვნური განაყოფიერების გამოყენება, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს, გააუმჯობესონ საქონლის ჯიშური მახასიათებლები და მნიშვნელოვნად გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიულობა.

გურიაში აღირიცხება 60,6 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. წარმოებული პროდუქცია შეადგენს 3,4 ათას ტონა ხორცს და 34,2 ათას ტონა რძეს. მესაქონლეობაში როგორც წველადობის, ასევე ხორცის წარმოების დაბალ დონეს ძირითადად განაპირობებს გენეტიკური მოძველება, არასათანადო ვეტერინარული მომსახურება, პირუტყვის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, საკვები ბაზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიმწირე.

ბოლო აღწერის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების შემდეგ მესამე ადგილს იკავებს რეგიონში ფურის, ღორისა და ფრინველის სულადობის მხრივ (ფური – 6,200 სული, ღორი – 2,486 სული, ფრინველი – 77,554 ფრთა).

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ბაზრის მოთხოვნა მეცხოველეობის პროდუქტებზე	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი; საკვები ბაზის სიმცირე; ფერმების ტექნოლოგიური აღჭურვის ნაკლოვანებები
შესაძლებლობები	საფრთხეები
აგროტურიზმი; რძის პროდუქტების მრავალფეროვნება; პირველადი წარმოების დივერსიფიცირება	ბუნებრივი კატასტროფები; დაავადებები

ერთწლიანი კულტურების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების (სალათი, სიმინდი) და ყვავილების წარმოება

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ხელსაყრელი კლიმატური პირობები (ყვავილები); ადვილი რეალიზაცია (ყვავილები); ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება (ყვავილები); სეზონზე 4-ჯერ წარმოება (სალათი); მაღალი მოთხოვნა ბაზარზე (სალათი); მაღალი მოთხოვნა ბაზარზე (სიმინდი)	მაღალმოსავლიან ჩითილებსა და სათესლე მასალებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი (სიმინდი); გავრცელებულია დაბალმოსავლიანი ჯიშები; მცირე ზომის ნაკვეთები
შესაძლებლობები	საფრთხეები
მაღალმოსავლიანი ჰიბრიდული ჯიშების გაშენება (სიმინდი); თანამედროვე აგროტექნოლოგიებში ცოდნის გაღრმავება	მავნებელ-დაავადებების გავრცელება

მეფუტკრეობა

მეფუტკრეობა რეგიონის მთელ ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად არის განვითარებული და წარმოდგენილია, როგორც შავიზღვისპირა სოფლებში, ასევე მთისწინა სოფლებში. დღევანდელი მონაცემებით, რეგიონში დაახლოებით 19,000 ფუტკრის ოჯახია. სეზონური პროდუქტიულობის მიხედვით, მთლიანობაში, წლის განმავლობაში საშუალოდ 150,000 კგ თაფლი იწარმოება. მდებარეობის მიხედვით (ზღვისპირა სუბტროპიკული კულტურების ზონა, ალპური მდელოები), განსხვავებულია თაფლის ხარისხი, ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. გვხვდება მონოფლორული – წაბლის, ცაცხვის, აკაციის თაფლი, ასევე, პოლიფლორული – მდელოს სხვადასხვა ყვავილისგან, სუბტროპიკული კულტურებისგან, ხეხილის ბაღების ყვავილებისგან დამზადებული/მიღებული თაფლი. აქაური თაფლი კარგი გემოვნური თვისებებით გამოირჩევა.

აქტუალურია თაფლის რეალიზაციის პრობლემა, რომელსაც თითქმის ყველა მსხვილი ფერმერი უჩივის. ეს საკითხი ალბათ თაფლის ლაბორატორიის ამოქმედების და სერტიფიკატების

გაცემის შემდეგ მეტ-ნაკლებად მოგვარდება, რადგან აქაურ ფერმერებს პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანის შესაძლებლობა მიეცემა.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
მრავალფეროვანი ბუნება; ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო; ფუტკრის ენდემური ჯიშები; სამი სახეობის თაფლი; ფუტკრის, როგორც დამამტვრიანებლის, როლი	მედიკამენტები არ არის ხელმისაწვდომი; გავრცელებული დაავადებები; თაფლის რეალიზაციის დაბრკოლებები – ბაზარზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; ფუტკრის პროდუქტების წარმოების მწირი გამოცდილება; ბრენდირებასა და შეფუთვასთან დაკავშირებული პრობლემები; ლაბორატორიული კვლევების ჩატარება არ არის ხელმისაწვდომი; შეუძლებელია თაფლის ხარისხისა და უვნებლობის დადგენა
შესაძლებლობები	საფრთხეები
ფუტკრის პროდუქტების დივერსიფიკაცია; თაფლის სხვადასხვა სახეობა; აგროტურიზმის განვითარება; ბიოთაფლის წარმოების შესაძლებლობა	დაავადებების გავრცელება; ბუნებრივი საფრთხეები; მედიკამენტების არასწორი გამოყენება მცენარეთა დაცვის საშუალებების არასათანადო გამოყენება

აკვაკულტურა

გურია მდიდარია წყლის რესურსებით. მიუხედავად ტერიტორიული სიმცირისა, იგი ამ მხრივ საქართველოს სხვა რეგიონებისგან გამოირჩევა. მდინარეები საკმაოდ მდიდარი იყო და არის თევზის ძვირფასი ჯიშებით. რეგიონში არსებული მდინარეები და მათი შენაკადები იძლევა საშუალებას, რომ განვითარდეს სატბორე და საკალმახე მეურნეობები. დღეისათვის რეგიონის ტერიტორიაზე 64 სატბორე და 10 საკალმახე მეურნეობაა. სატბორეებში აწარმოებენ 83 ტ თევზს, ხოლო საკალმახეებში – 310 ტ კალმახს.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სუფთა წყალი (წყლის რესურსები); ბუნებრივი პირობები; არსებული გამოცდილება; ბაზარზე მოთხოვნა; რეალიზაციის სიადვილე	საკვების არასტაბილური მიწოდება; იქთიოლოგების დეფიციტი; გავრცელებული დაავადებები; მაღალი ხარისხის საკვებსა და მედიკამენტებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა

შესაძლებლობები	საფრთხეები
დარგის განვითარების პოტენციალი (საკმარისი ბუნებრივი რესურსები); აგროტურიზმის განვითარება; მდინარის კალმახის ლიფსიტების გამრავლება და ბუნებრივ პირობებში გაშვება; სალიფსიტე მეურნეობების განვითარება	დიდთოვლობა და არახელსაყრელი კლიმატური პირობები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მონათესავე დარგების (მაგალითად, აგროტურიზმი, სათაგვადასავლო ტურიზმი, გასტროტურიზმი და სხვ.) განვითარება და სექტორებს შორის კავშირების გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ხასიათდება კომპეტენტური სამუშაო ძალის ნაკლებობითა და შეზღუდული ინფრასტრუქტურით.

მართალია, კონკრეტული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს შესაბამის სექტორებს, მაგრამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა მოითხოვს ინტეგრირებული მიდგომების გათვალისწინებას და არა მხოლოდ რომელიმე ერთ სექტორზე ფოკუსირებას. აუცილებელია კომპლექსური მიდგომების გამოყენება, რომლებიც მიმართული იქნება მთლიანად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტზე და არა ცალკეული სექტორების განვითარებაზე.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ეფექტიანი და ინოვაციური მიდგომების შესახებ ტრენინგების ჩატარება და ინფორმაციის გავრცელების კამპანიების რეგულარული წარმოება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით; საჭიროა შემდგომი მონიტორინგიც, რადგან ასეთი ტიპის საქმიანობა შედარებით ნაკლებდანახარჯიანი ინტერვენციების სწრაფი და მაღალი უკუგების საშუალებას იძლევა.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ძირითადი პოტენციალის კვლევა

ტურიზმის სექტორის განვითარება გურიაში ადგილობრივი მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტების განუყოფელი ნაწილია და განიხილება, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სოფლის ტერიტორიების აღორძინებისა და ეკონომიკის დივერსიფიკაციის ალტერნატიული მექანიზმი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, გურიის სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, სარგებლობს გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიით⁵. გარდა ამისა, ჩოხატაურს აქვს ინდივიდუალური ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია, რომელიც შემუშავდა ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით. ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო ტყის მრავალფუნქციური და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით⁶

⁵ გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მონაწილეობითი პროექტი Charrette (2016-2019)

⁶ ეროვნული ტყის კონცეფცია <https://forestry.gov.ge/Ge/Files/Download/75>)

აქცენტს აკეთებენ ტერიტორიების მართვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვაზე, ეკონომიკური სარგებლის გაზიარებაზე, საარსებო წყაროს გაუმჯობესებაზე⁷. გურიის დაცული ტერიტორიების დიდი ნაწილი მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს (სოფელ ხიდისთავიდან ზემოთ). შედეგად, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად გეგმავს ეკოტურისტული მარშრუტებისა და თემზე დაფუძნებული ტურისტული პროდუქტების განვითარებას. შესაბამისად, ჩოხატაურში ტურისტული პროექტების განვითარების ჩარჩო დოკუმენტებს წარმოადგენს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030 და სამოქმედო გეგმა 2023-2025, ასევე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2015-2025 და სამოქმედო გეგმა და გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

6.1 ბუნებრივი რესურსები და ძირითადი ბურისტული ღირებულებები

ჩოხატაურის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის (დესტინაციის), პოტენციალს ადგილზე მიწოდების ფიზიკური ელემენტები განაპირობებს. ესენია: ბუნებრივი რესურსები და გარემო, შექმნილი (ხელოვნური) გარემო – ინფრასტრუქტურა, ოპერაციული (ინდუსტრიული) გარემო და მასპინძლობა. ტურიზმის პოლიტიკას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მიწოდება. თუმცა რესურსების ტურისტულ პროდუქტად შეკვრას არსებული ტურისტული მოთხოვნა და კონკურენტუნარიანი გარემო განაპირობებს. მომდევნო თავებში აღწერილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული მიწოდების და მოთხოვნის ელემენტები.

6.2 ბუნებრივი რესურსები და გარემო

რეგიონი საინტერესოა თავისი კანიონებითა და მთიანი ლანდშაფტებით. ჩოხატაურს აქვს აქტიური სათავგადასავლო ტურიზმისა და სარელაქსაციო ღონისძიებების კომბინირებული შეთავაზების პოტენციალი მინერალური წყლებისა და სამთო კლიმატის მქონე კურორტების რესურსების გამოყენებით⁸. მაგალითად, კურორტი ბახმარო პოპულარული დასვენების ადგილი გახდა საქართველოში ზღვისა და მთის ჰაერის კომბინირების წყალობით. ნაძვის ყვავილობის პერიოდში (სექტემბერში) კურორტი ასთმით დაავადებულთა სამკურნალო ადგილია. ბახმაროს უნიკალურობას სძენს მზის ამოსვლის და მზის ჩასვლის ხედები. საინტერესოა ჩოხატაურის ალპურ ზონაში მდებარე ტბები. მაგალითად, ჯაჯის ტბა, რომელიც მდებარეობს ჩოხატაური-ადიგენის საზღვარზე, ზღვის დონიდან 2,658 მ სიმაღლეზე, კურორტ გომისმთასა და ჭინჭაოს ტბასთან მისასვლელი ბილიკები და ადიგენის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი გზები (რომლებიც გურიის მთებს ადიგენსა და აჭარასთან აკავშირებს).

ჩოხატაურში ეკოტურისტებისთვის ასევე საინტერესოა ჩანჩქერები – საჭამიასერი, ზოტისხევი, საჭიჭყინა და ოჩოჩქინა. ტყეები მდიდარია მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით. აქ გვხვდება: შველი, არჩვი, გარეული ტახი, კურდღელი, მგელი, დათვი, მელა, მაჩვი და სხვა. პონტოს მუხის ალკვეთილი მუნიციპალიტეტის დაცული ტერიტორიაა. მასში დაცულია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი პონტოს მუხა (*Quercus pontica* C. Koch.) და შენარჩუნებულია მასთან დაკავშირებული ეკოსისტემები. მთის ფერდობებზე გვხვდება წიფელი, მუხა, წაბლი, სოჭი, ჭა-

⁷ Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia & NFA (2019): Forest Sector Communication Strategy and Action Plan 2020-2024

⁸ გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, შემუშავებული ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების მიერ (2016-2019)

დარი, ევროპული რცხილა და მურყანი. 1,500-1,600 მეტრის ზემოთ გვხვდება ნაძვისა და სოჭის ტყეები. ტყის ტერიტორიის დიდ ნაწილს დაცული ტერიტორიების სტატუსი აქვს მინიჭებული.

ბუნებრივი ღირშესანიშნაობები
ტბები და ჩანჩქერები, მინერალური წყლები: ჯაჯის ტბა, საჭიჭყინა, ოჩოჩინა, ნაბელავი, საჭამიასერი, ზოტისხევი მთის, ტყის და სოფლის ლანდშაფტი: ბახმარო (მზის „ამოსავალი“ და „ჩასავალი“ გორები), გემო სურების მიმართულება – შუაგორა და ზოტის ნიგვზიანი, სანისლია, უკანავა (ციხისძირი), საირაოს მთა, ამაღლებისა და სამების ტყეები, იანულის (ძველკარი), აბრეშუმის გზა, შუა ფარცხმის ტყე-პარკი დაცული ტერიტორიები: გურიის ეროვნული პარკი

ჩოხატაურის მიმდებარე მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი და კულტურული ობიექტებიდან, რომლებიც საინტერესოა კომბინირებული ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ერკეთისა და იანულის ეკლესიები, სამებისა და უდაბნოს მონასტრები.

6.3 შიქმნილი (ხელოვნური) გარემო, ინფრასტრუქტურა

ბუნებრივი რესურსების არსებობამ, კერძოდ, „ნაბელავისა“ და ბახმაროს პოპულარობამ, რეგიონში საინვესტიციო პროექტების განხორციელება განაპირობა. სოფლებში გაუმჯობესებულია გზები და უსადენო ინტერნეტი. დარეგულირდა ნარჩენების შეგროვების პრაქტიკა, თუმცა, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, აქაც პრობლემებია ნარჩენების გატანასა და წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. გაზრდილი მოთხოვნა, განსაკუთრებით ბახმაროში, დაკმაყოფილებული არაა სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

ანთროპოგენული ნაგებობებიდან ტერიტორიაზე გვხვდება რამდენიმე ისტორიული ძეგლი. მათ შორის პოპულარულია ადრეული შუა საუკუნეების ციხესიმაგრე ბუკისციხე, ერკეთის მთავარანგელოზთა ეკლესია და ნახევრად კლდეში ნაკვეთი უდაბნოს მამათა მონასტერი. საინტერესოა გურიის ერისთავების ციხე-დარბაზი სოფელ გორა-ბერეჟოულში, სადაც ასევე გაშენებულია დენდროლოგიური პარკი სხვადასხვა ჯიშის ასწლოვანი მცენარეებით.

ცხრილი 1. ჩოხატაურის კულტურული რესურსების ჩამონათვალი

კულტურული ძეგლები
ციხეები: ბუკისციხის ციხე ეკლესია-მონასტრები: ლომისკარების ეკლესია, დიდივანი. ერკეთის დედათა მონასტერი, შუბანის ტაძარი, იანულის მამათა მონასტერი, ვან-ზომლეთი – უდაბნოს მონასტერი, სამების მონასტერი უძველესი ნამოსახლარი და ეთნოლოგიური მემკვიდრეობა: კეცის ქვის საბადოები, საჭამიასერი, კოხნარი (ჩხავერის ენდემური ზონა) სახლ-მუზეუმები და ოდები: ნიკო მარის სახლ-მუზეუმი, შარაშიძის სახლი, ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი, სკიჯის სახლი, მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი, გორა-ბერეჟოულის დენდროლოგიური პარკის სასახლე სხვა: კოლეჯ „ჰორიზონტის“ სადემონსტრაციო ნაკვეთი, ქართლის დედა შუა ფარცხმის ტყე-პარკში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გალერეა, ბიბლიოთეკა

ჩოხატაურის არქეოლოგიური მუზეუმი მოიცავს პერიოდს ძვ. წ. VI-V საუკუნეებიდან განვითარებულ შუა საუკუნეებამდე. ამ ძეგლების გარდა, გვხვდება ეკლესიის, კოშკისა და ძველი დასახლების ნანგრევები ბურნათში, გოგოლესუბანში, ზოტში, შუბანში, ბუკისციხეში, ხიდისთავში და ა.შ.

გულთბილი მასპინძლობა, გურული იუმორი, ტრადიციული სამზარეულო, ფოლკლორი ჩოხატაურის არამატერიალური კულტურის მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. რეგიონში შენარჩუნებულია ღვინის უნიკალური სახეობები და დამზადების წესი. შემორჩენილია ორშიმოს (ღვინის ჭურჭელი), გიდელებისა და სხვა ტიპის კალათებისა და საშობაო ნაძვის ხეების, ე.წ. ჩიჩილაკების, დამზადების ტრადიციები. საინტერესოა ლეგენდები, ადგილობრივი გადმოცემები და ისტორიები. მაგალითად ელიოტის ამბავი (სურები), ჩიხნარის იარაღის ქარხნის ისტორია, გურული ფირალების/სახალხო გმირების ისტორია, გურული მხედრების ისტორია, მარიამ ბუკისციხელის ამბავი, აბრეშუმის გზის ისტორია (ძველიკარი), ხიდისთავის ბაზრობა („გუბაზეული სანსეტი“, ოთხშაბათის ბაზარი), დუქნის ისტორია და სხვ. გურიაში აღნიშნავენ „კალანდას“, ანუ ძველი სტილით ახალ წელს. ფერისცვალების დღეს იმართება დიდი ბახმაროში, აღნიშნავენ ბახმაროს მზის ჩასვლის ფესტივალს, ასევე, ბაზიერობას. გურიის ტრადიციები კარგად აისახება დღესასწაულ „აღევრობაში“. სამწუხაროდ, „აღევრობა“, რომელიც ტრადიციული საქველმოქმედო ზეიმი, მივიწყებულია. ამ კუთხით საინტერესოა ასევე ბაზიერობის პერფორმანსი, „ისინდი“ (ცხენბურთი).

6.4 მასპინძლობა, ეკოტურისტული პროდუქტები და მომსახურების მიმწოდებლები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ეკოტურისტული პროდუქტებისა და სერვისების მიმწოდებლებიდან წარმოდგენილია სასტუმრო სახლები, ღვინის მარნები, კაფე-რესტორნები. მათი უმეტესობა მდებარეობს ბახმაროში, ჩოხატაურსა და ნაბეღლაში. საინტერესოა საოჯახო რესტორნები აგროტურისტულ ფერმებში, როგორიცაა „მოდო“ და „სკიჯის სახლი“⁹. ჯერ კიდევ არსებობს საინტერესო ტენდენცია – ქალაქელი მეწარმეები ახორციელებენ ინვესტიციას სოფლებში მდებარე საკუთარ სახლებში აგრო და გასტროტურიზმის ბიზნესის განვითარების მიზნით. ისინი მართივ სერვისებს სთავაზობენ მომხმარებლებს ლოკალურობის კონცეფციის გამოყენებით¹⁰.

ტურისტული არეალები და მარშრუტები

ზოგადად, გურიაში მარკირებულია ხუთი ბილიკი. ბილიკების უმეტესობა იწყება ერთი მუნიციპალიტეტიდან და მთავრდება მეორეში. თითქმის ყველა ბილიკი გარკვეულწილად კვეთს ტყიან ტერიტორიებს¹¹. მარშრუტები შესწავლილია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით. ამ მარშრუტებზე არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა ტურისტების თავშესაფრების, საბანაკე და საპიკნიკე ზონების სახით.

⁹ <http://guriatourism.ge/> and https://www.google.com/maps/d/u/1/viewer?fbclid=IwAR3L_VX6tZNCv5ld8F7rmj4qdEu61SI39JY6nlxoTRwFX56YCMsBxSShc&mid=194VG_3oUwK1b3BpiKRCphU8vam7hB4oK&ll=42.005630394693966%2C42.324084999999975&z=9

¹⁰ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას აქვს პროექტი გასტრონომიულ მარშრუტსა და დარგობრივ ასოციაციებთან ერთად საოჯახო კაფეების/რესტორნების კონცეფციის განსავითარებლად

¹¹ <https://bit.ly/4cxK6GM>




სათავგადასავლო მარშრუტების გარდა, ჩოხატაურში წარმოდგენილია „ღვინის გზა“ და „გურიის სტუმარმასპინძლობის მარშრუტი“ (მისი თანმხლებია „გურიის ჩაის გზა“), რომლებიც აერთიანებს ჩაის, ჩირის, თაფლის, ტკბილეულისა და ღვინის მწარმოებლებს, იუველიერებსა და სხვა ტიპის ხელოსნებს, სასტუმრო სახლებისა და სურსათის მიწოდების სერვისებს.

6.5 ტურისტული მოთხოვნა

6.5.1 საერთაშორისო და ეროვნული ტურისტული ბაზრები

საქსტატის მონაცემებით¹², 2022 წელს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ ჩოხატაურში შეადგინა 82.5 ათასი, რაც 8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორების წილი 10%-ზე ნაკლებია.

შიდა ბაზრის პოტენციური სამიზნე ჯგუფია: ოჯახები, ახალგაზრდები, საპენსიო ასაკის და მსვენებლები, რომელთაც სურთ ურბანული ცხოვრების სტილის მცირე ხნით შეცვლა, ჯანსაღ გარემოში დასვენება და ბუნებასთან მეტი სიახლოვე. გარდა ამისა, იზრდება საერთაშორისო ბაზრის წილი – ეკოტურისტები, კულტურული თუ სათავგადასავლო ტურიზმით დაინტერესებულები, საერთაშორისო ბიზნესვიზიტორები და საქართველოში საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები. ჩოხატაური ახალი ადგილია ტუროპერატორთათვის, რომლებიც ეკო, აგრო და სათავგადასავლო ტურისტულ შეთავაზებებს ქმნიან ტურისტული ბაზრისთვის.

			
ძირითადი სეგმენტი: ბახმაროს დამსვენებლები ბუნების წიაღში სასეირნოდ, მარშრუტით მავალი ტურისტები ნათესავებთან ჩამოსული ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებით მცირე ჯგუფები კონკრეტული სამოგზაურო მიზნებით, მაგალითად, ფესტივალის ვიზიტორები მეცნიერები და მკვლევრები ბანაკები, კორპორაციული ჯგუფები	ინფორმაციის წყარო: ინტერნეტი და სოციალური მედია; ვიზიტორები ინდივიდუალურად გეგმავენ დასვენებას, იყენებენ online-დაჯავშნის პლატფორმებს: booking.com; Tripadvisor	ვიზიტორთა კმაყოფილება: ჰაერი, ხელუხლებელი ბუნება, სტუმართმოყვარეობა მთები, ტბები ვიზიტები კურორტ ბახმაროში, ვიზიტები მეღვინეებთან და მეჩაიეებთან, კულტურის ძეგლების მონახულება	ვიზიტორთა უკმაყოფილება: სამოგადოებრივ ტრანსპორტზე ცუდი წვდომა, საინფორმაციო ნიშნების არარსებობა, ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების, საინფორმაციო დაფების ნაკლებობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის დეფიციტი

¹² Geostat. ივლისი, 2023

6.5.2 ტურისტების სტატისტიკა

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა (ათასი)		
	2019	2022
ობურგეთის მუნიციპალიტეტი	218.7	269.5
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	99.0	140.9
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	76.5	82.4

* წყარო: საქსტატი, 2023

ვიზიტის ხანგრძლივობა: 2022 წლის მონაცემებით, ჩოხატაურში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირებულია – ესაა 2.5 ღამე. ზოგადად, მოგზაურთა 50%-ს შეადგენენ ერთდღიანი ვიზიტორები. ტურისტული სეზონი საკმაოდ ხანმოკლეა და მოიცავს ზაფხულის ორ თვეს (ივლისი, აგვისტო). ჩამოსული სტუმრებიდან ჭარბობენ პოსტსაბჭოური სახელმწიფოებიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპიდან, აზიიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, არაბული ქვეყნებიდან ჩამოსული ვიზიტორები. სამიზნე ჯგუფი ძალზე მნიშვნელოვანია მოკლე სათავგადასავლო აქტივობისთვის, რომელიც არ მოითხოვს დიდ ფიზიკურ ძალისხმევას.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გათვლილი ღამეების საშუალო რაოდენობა		
	2019	2022
ობურგეთის მუნიციპალიტეტი	2.14	4.02
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2.20	3.66
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	3.77	2.48

* წყარო: საქსტატი, 2023

6.5.3 ძირითადი გამოწვევები და ტურისტული პროდუქტების განვითარების კომენციალი ჩოხატაურში

ჩოხატაურში, ისევე, როგორც გურიის სხვა მუნიციპალიტეტებში, რეგიონის პოტენციალი სრულად ათვისებული არ არის. ამის ძირითადი მიზეზია ტურისტული ინფრასტრუქტურის, შეთავაზებების, ადამიანური რესურსებისა და ფინანსებზე წვდომის დეფიციტი. გამოწვევას წარმოადგენს ბაზართან წვდომა. რეგიონში შერჩეულია რამდენიმე ეკო და აგროტურისტული მეურნეობა. თუმცა ტუროპერირების მიმართულებით ცოდნის ნაკლებობის გამო საინტერესო მეურნეობების ბაზარზე წარმოჩენა ვერ ხერხდება. შექმნილია მობილური აპლიკაცია, სადაც გურიის ღირსშესანიშნაობები და ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია დატანილი, თუმცა ისინი საჭიროებს ცნობადობის კიდევ უფრო გაზრდას, რომ ეს ადგილები ფუნქციური გახდეს.

გამოუყენებელია რეგიონში არსებული ალტერნატიული ენერგორესურსები, მაგალითად, მზის ენერგია ცხელი წყლით მომარაგების მიზნით, წყლის შემკრები აუზები და აღჭურვილობა და სხვ.

ჩოხატაურში, სხვა რეგიონების მსგავსად, სუსტია კავშირი მწარმოებლებსა და მომსახურების მიმწოდებლებს შორის. პროდუქტების ადგილობრივი მიწოდება არასისტემატური და ნაკლებად კონკურენტუნარიანია იმპორტული საქონლის ფასთან შედარებით. სასტუმრო სახლების მფლობელებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ცუდი შენახვის პირობები, ფასი, საქონლის რაოდენობა და არასისტემატური მიწოდება დიდ გამოწვევას წარმოადგენს. სურსათის მიწოდების მოკლე ჯაჭვების განვითარების ხელშეწყობა აგრო, გასტრო და ეკოტურისტული საქმიანობების ფუნდამენტური ღირებულებაა. ლოკალური მიდგომის კონცეფცია ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის (ვინც არ არის ჩართული ტურიზმის ბიზნესში) უკმაყოფილების თავიდან აცილებას.

სუსტი თანამშრომლობაა ასევე სერვისის მიმწოდებლებს შორისაც. მაგალითად, სასტუმრო სახლების მფლობელები ხედავენ დამატებითი სერვისების განვითარების პოტენციალს, როგორცაა ცხენოსნობა და ტურები გიდის მეგზურობით, მეზობელ თემებთან თანამშრომლობით, მაგრამ კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის საჭიროა უკეთესი უნარ-ჩვევები და სისტემური აზროვნება, დანიშნულების ადგილის მართვის საშუალებები. ამ ეტაპზე მხოლოდ ორი-სამი ოჯახი თანამშრომლობს ერთმანეთთან საერთო პროდუქტის შემუშავებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

მუნიციპალიტეტში არ არის იდენტიფიცირებული რეკრეაციული არეალები და დივერსიფიცირებული აქტივობები. ამის ძირითადი მიზეზი ადგილზე მმართველი რგოლის დეფიციტია. რეგიონში არ არის დანიშნულების ადგილების მართვის ორგანიზაცია და არსებული ეკოტურიზმის სტრატეგია გარე ექსპერტების მიერ არის შედგენილი, ადგილობრივი მოსახლეობის ფრაგმენტული ჩართულობით. დივერსიფიცირებული აქტივობები მოითხოვს ადგილზე მეტი რეკრეაციული ადგილის, გასართობი პროგრამების, კვალიფიციური გიდებისა და ადგილობრივი ტურისტული ოფისების არსებობას, ფესტივალების ორგანიზებას. მაგალითად, ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ შუა ფარცხმის ტყე-პარკს, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში წარმოადგენდა სარეკრეაციო ზონას ტურისტული ინფრასტრუქტურით. ტყე-პარკში ეწყობოდა პიკნიკები, ლაშქრობები (ცნობილი მარშრუტი „ჭინკის ქვამდე“, მცირე საბანაო გამოქვაბულით, სიღრმით დაახლ. 2 კმ). ადგილობრივ მოსახლეობაში ასევე ცნობილი სატყეო ზონებია სამებისა და ამაღლების ტყეები მწვანე წყაროებითა და გამოქვაბულებით. ამჟამად ამაღლების ტყე ბერებს ეკუთვნის. სამების ტყიდან მიემართება ბილიკი ჯიხეთის დედათა მონასტრამდე და წყაროებამდე.

დაბოლოს, რეგიონის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი, მარკეტინგული გეგმის, სარეკლამო მასალების დეფიციტი, ხელნაკეთი ნივთების, ადგილობრივი პროდუქციის შესაძენად სუვენირების მაღაზიების არარსებობა – ყველა ეს ფაქტორი ხელს უშლის რეგიონის მრავალმხრივ განვითარებას.

6.6 ტურისტული პოტენციალის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
მდებარეობა ხელსაყრელი მდებარეობა, სიახლოვე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან; მიღწევადობა წელიწადის ოთხივე სეზონზე; მოკლე დროში მრავალფეროვანი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მართვა და მმართველობა ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის ქონა; დონორების მხარდაჭერა (Green Guria, Eco. georgia); გურიის „ღვინის ფესტივალის“ დაარსება; ააიპ „გურული ღვინისა და ვაზის კლასტერი“ ადამიანური რესურსები მასპინძლობა; მცირე გრანტების განხორციელების გამოცდილება; პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტის“ ფილიალის არსებობა; ხელსაქმის ოსტატები კულტურული რესურსები კულტურული მემკვიდრეობა; ვაზის უნიკალური ჯიშები; ტრადიციული მეურნეობები (მეფუტკრეობა, მევენახეობა/მელვინეობა, მეციტრუსეობა) ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები წყლის რესურსები, მინერალური წყლები და ტალახის აბანოები მთაგორიანი რელიეფი და ლანდშაფტი ბიომრავალფეროვნება დაცული ტერიტორიები და კურორტები ტყე და ტყის არამერქნული რესურსები	მდებარეობა ტრანზიტული რეგიონი, აჭარასთან შედარებით, ნაკლებად კონკურენტუნარიანი მართვა და მმართველობა ტურიზმის სამსახურის, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არარსებობა; ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა; სახელმწიფოს და კერძო სექტორის სუსტი თანამშრომლობა/კომუნიკაცია; დონორების სიმცირე სხვა რეგიონებთან შედარებით ადამიანური რესურსები მოტივაციის დეფიციტი; არასაკმარისი წვდომა ფინანსებთან, სესხის მაღალი საბანკო პროცენტი; საგრანტო პროგრამების ფარგლებში წარსადგენ პროექტებზე მუშაობის მცირე გამოცდილება; გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის დეფიციტი; კვალიფიციური კადრების (მაგ., PR-ის სპეციალისტების, გიდების, პროგრამისტებისა და გრაფიკული დიზაინერების) დეფიციტი ძირითადი ინფრასტრუქტურა შიდა გზების გაუმართაობა; წყლით მომარაგების დეფიციტი; გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის შემცველი ინფრასტრუქტურის დეფიციტი (კომპოსტი, მზის და წყლის რესურსების გამოყენება)

ტურისტული ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებული გზები სასტუმროების, სასტუმრო სახლებისა და ეკოკოტეჯების რაოდენობის ზრდის ტენდენცია მომსახურების დაბალი ფასები „ჩაის გზა“ და „ღვინის გზა“ პოპულარული მარშრუტები ბახმაროსა და სურების მიმართულებით დენდროლოგიური პარკები მიმზიდველობა/ცნობადობა ახალი დესტინაცია, „აღმოუჩენელი“ ტურისტული პოტენციალის ჩამონათვალი და ვებგვერდი „რა ყოფილა გურია!“¹³	ტურისტული ინფრასტრუქტურა კვების ობიექტებისა და სასტუმრო სახლების/გესთაუზების სიმცირე ტურისტული ბანერების/საინფორმაციო დაფებისა და გზის ნიშნულების დეფიციტი შიდა გადაადგილებისთვის ტრანსპორტის არარსებობა ტურისტული პროდუქტი ადგილზე სურსათის მიწოდების ჯაჭვის დეფიციტი პროდუქტების/შეთავაზებების დეფიციტი შეუსწავლელი გურული სამზარეულო მივიწყებული ტრადიციული დღესასწაულები გამოუყენებელი ტყის რესურსები (არამერქნული) მიმზიდველობა/ცნობადობა შეზღუდული წვდომა ბაზართან ცნობადობის დეფიციტი არაბრენდირებული პროდუქტი, დესტინაცია საიმიჯო ვიდეორგოლების სიმცირე
შესაძლებლობები	საფრთხეები
მართვა და მმართველობა სათანადო აღჭურვილობის მქონე ტურისტული ცენტრის შექმნა, რომელსაც ექნება ლობიების ფუნქცია – დაამყარებს კომუნიკაციას ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ცენტრის გამართვა პოლიგრაფიული სერვისების და კომერციული მარკეტინგის შესაძლებლობებით პოპულარულ ლოკაციებზე ტურისტული პროდუქტის განვითარების მარკეტინგული გეგმების შემუშავება ლოკაციების იდენტიფიცირება და იქ არსებული რესურსებისა და სერვისმიწოდებლების ბაზის შექმნა კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება	არასტაბილური პოლიტიკური გარემო ბუნებრივი საფრთხეები

¹³ ბილიკები შესწავლილ და აღრიცხულ იქნა პროექტ Cheritte-ის ფარგლებში.

აგრო/გასტრო და ეკოტურიზმი ტრადიციული და თანამედროვე რეცეპტების მოკვლევა და დანერგვა წყაროებზე დაფუძნებული ისტორიების მოკვლევა და „გაცოცხლება“ ტყის რესურსების შესწავლა და კულინარიაში გამოყენება კომბინირებული აგრო და გასტრომარშრუტების იდენტიფიცირება, სადაც გამოყენებულია ჩოხატაურის სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებები; საკალმახე მეურნეობების (მაგ., ჩხაკაურას საკალმახე „მეგობრობა“), ასევე მევენახეობა-მელვინეობის, მეთხილეობის, მეჩაიეობის, მეჩირეობის და სხვ. მეურნეობების დაკავშირება ეკო, აგრო და გასტროტურისტულ ბაზართან სადემონსტრაციო სივრცეების მოწყობის მხარდაჭერა სადეგუსტაციო სივრცეების მოწყობის მხარდაჭერა; ხელსაქმის ოსტატების მხარდაჭერა; გარემოს დამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენებით; ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობა სათავგადასავლო და ეკოტურიზმი გემო სურებისა და ბახმაროს ლოკაციების განვითარება და სალაშქრო, საჯოგარდო, სათევზაო, საცხენოსნო მარშრუტების და მთის ბანაკების მოწყობა; გზის მანიშნებლების დამონტაჟება; მოსახლეობის ინფორმირებულობა ტურიზმის შესახებ; სურსათის მიმწოდებლების სერვისების განვითარება, საგზალის (პიკნიკის ლანჩების) მომზადება; აღჭურვილობის შეძენა (ჯოგინგის, სალაშქროდ და საცხენოსნოდ) ეკობილიკების შექმნა (ადგილობრივი ამბების, ლეგენდების შესახებ ინფორმაციის მოძიება)	
---	--

სამკურნალო ტურიზმი

სამკურნალო მცენარეების მოძიება-აღდგენით
ძველი აფთიაქის აღორძინება ხიდისთავში და იქ
არსებული აღჭურვილობის გამოყენება

ადამიანური რესურსების გაძლიერება

სერვისის მიმწოდებლების ტექნიკური დახმარება
საოჯახო სასტუმროების, აგროტურისტული
მეურნეობის, საცხენოსნო და ველომარშრუტების
განვითარების კუთხით;

გიდების დაწვინის მოკლევადიანი კურსების
მომზადება პროფესიულ სასწავლებელ
„ჰორიზონტში“

მარკეტინგი

გურიის ბრენდინგი, ცნობადობის გაზრდა; ლოგოს
და სლოგანის დანერგვა ააიპ-თან „სიცოცხლის
სამოსახლო“ თანამშრომლობით;

ციფრული ტექნოლოგიებისა და მომსახურების
დანერგვა – აპლიკაციების, ვიდეორგოლების,
ბროშურებისა და ბუკლეტების, ეტიკეტებისა და
ბანერების ადგილზე დამზადება

ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შექმნა,
სადაც გამოიფენება ადგილობრივი ნაწარმი,
სუვენირები;

საინფორმაციო დაფების, ბანერების და
ნიშნულების დანერგვა

სოციალური ქსელების გააქტიურება: FB, Instagram,
Tik-Tok, Youtube

კადრების გადამზადება: გრაფიკული დიზაინის,
პროგრამირების და PR და სოციალური მედიის
მიმართულებით

გასაცნობი და პრეს-ტურების ორგანიზება
ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის,
ბლოგერებისთვის

ტურისტული რუკის შექმნა

ღვინის ფესტივალის ბრენდირება

სოფლის ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

რეგულარული ბაზრობების დანერგვა (მაგ.,
ხიდისთავში)

6.7 რეკომენდაციები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის მიმოხილვა შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- ბუნებრივი მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი ასპექტია ჩოხატაურის ტურიზმის განვითარებისათვის;
- ორივე ტურისტული სეზონი (ზაფხულისა და ზამთრის) ძალიან მოკლეა ჩოხატაურში. ტურისტული სეზონის გასახანგრძლივებლად საჭიროა სხვადასხვა ტურისტული შეთავაზების შემუშავება (განსაკუთრებით ზამთრისთვის);
- გასათვალისწინებელია დასვენებაზე (ბახმარო), თავგადასავალსა და ეკოტურისტულ აქტივობებზე დაფუძნებულ ტურიზმზე მზარდი მოთხოვნა; შესაბამისად, ტურისტული პაკეტების დივერსიფიკაცია (საცხენოსნო, ველო, სამთო-სალაშქრო მარშრუტები, გასტრო, აგრო და ეთნოგრაფიული ტურები, ფრინველებზე დაკვირვება და სხვ.);
- გასათვალისწინებელია ასევე კონკრეტული ტურისტული პროდუქტებისა და პაკეტების შექმნა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (ერთდღიანი ტურები, მრავალდღიანი ტურები, თემატური ტურები (ბუნების შემეცნების, კულტურული, ეთნოგრაფიული, გასტროტურები და სხვ.);
- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის შემცველი აქტივობების, პროდუქტების დივერსიფიკაციისა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროებების გათვალისწინებით;
- საყურადღებოა თემატური ფესტივალების ორგანიზების ხელშეწყობა სურსათის მიწოდების ჯაჭვის, ცნობადობის ამაღლებისა და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობის გაზრდის/უკეთესი კომუნიკაციის დამყარების მიზნით;
- დასახული მიზნების მისაღწევად საყურადღებოა ადგილზე შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანური რესურსების, კვალიფიციური პერსონალის ხელშეწყობის გზით, კერძოდ, ტექნიკური დახმარება (ტრენინგების ჩატარება) სურსათის უვნებლობის, ადგილობრივი კერძების ინდივიდუალური შეკვეთის (a la carte menu), მარკირებული ბილიკების (გაცოცხლებული ისტორიების) და სხვა შემოქმედებითი ტურისტული პროდუქტების დანერგვის საკითხებში;
- მარკეტინგის კუთხით ასევე საყურადღებოა ვიდეორგოლების, ციფრული მედიის გამოყენება შერჩეული ლოკაციების წარმოჩენისთვის, ასევე, „სლოუ ფუდის“ კონცეფციის დანერგვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

7. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა შეხვედრა/ფოკუსჯგუფი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (LAG) წარმომადგენლებთან და სხვა აქტიური მოქალაქეებთან. ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და აქტიურად გამოხატეს თავიანთი პოზიცია; გამოკვეთეს შესაძლებლობები, იმსჯელეს იმ გამოწვევებზე ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში, რომლებიც ადგილობრივ თემს აწუხებს. გაკეთდა SWOT-ანალიზი, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა შემდეგი საკითხები:

ჩოხატაურის ფოკუსჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ კვალიფიციური მედპერსონალი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეა. ადგილზე არის ექიმების რესურსი, კერძოდ, ქირურგი, მეან-გინეკოლოგი, ოფთალმოლოგი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალების მკურნალობა ფინანსდება ამ მუნიციპალიტეტშიც და ფუნქციონირებს „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“, ისევე, როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.

ზოგადად, ჩოხატაურში დაფინანსებული და განხორციელებულია საჭიროებაზე მორგებული და ეფექტური მუნიციპალური პროგრამები. მოქალაქეები თვლიან, რომ პროგრამები ხელს უწყობს ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. ასეთია, მაგალითად, ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, შინმოვლის პროგრამა, ყველა ასაკის შშმ პირთა მდგომარეობის შესწავლა და დასვენება მთისა და ზღვის კურორტებზე და სხვ. მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად გეგმავს, შეიმუშავებს და განხორციელებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებს და ამისთვის სამართლებრივი საფუძველი აქვს. ჯგუფის წევრები თვლიან, რომ ასეთი მიდგომა მოსახლეობისათვის კარგია და ყველა საჭიროება აისახება პროგრამებში, თუკი ცენტრალური ბიუჯეტიდან ამის ფინანსური რესურსი გამოიყოფა.

მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც, მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების წესის“ შესაბამისად, ჩატარდა ხმის მიცემის პროცესი და გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი „მამოგრაფიაზე დაფუძნებული უფასო სკრინინგის პროგრამის დანერგვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისათვის“. სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობებს. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესები. პროექტის მიზანია მკერდის კიბოს სკრინინგის პროგრამის დანერგვა ჩოხატაურში – რეგიონში მცხოვრებ ქალებს ექნებათ შესაძლებლობა, უფასოდ ჩაიტარონ დიაგნოსტიკა და თავიდან აიცილონ მკერდის კიბოთი გამოწვეული ავადობა. სკრინინგის დანერგვისათვის პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნება მამოგრაფიის აპარატი, რომელიც განთავსდება შპს-ისთვის „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ წინასწარ უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართში.¹⁴ ასევე მნიშვნელოვანია, რომ თბილისიდან მოიწვევენ რადიოლოგს და უკვე სრულფასოვნად იქნება შესაძლებელი ქალებისათვის მკერდის კიბოს პრევენცია ჩოხატაურსა და მთლიანად რეგიონში.

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“ გეგმავს ტელემედიცინის სერვისების განვითარებას,

¹⁴ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №31, 2022 წლის 27 დეკემბერი

რათა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს ხელმისაწვდომობა მაღალკვალიფიციურ სამედიცინო სერვისებზე. ზოგადად, ტელემედიცინის განვითარება ხელს შეუწყობს შედარებით მაღალი ხარისხის და ხარჯთეფექტიანი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას საქართველოს მოქალაქეებისათვის. ტელემედიცინა პაციენტებს ეხმარება, იოლად, სწრაფად და ეფექტურად მოაგვარონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ესა თუ ის პრობლემა. რამდენიმე ათეული წელია, მას აქტიურად იყენებენ მსოფლიო მასშტაბით, ბოლო წლებში, პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე, ტელემედიცინამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ტელემედიცინა, ამავე დროს, ჯანდაცვის ხარჯებსაც მნიშვნელოვნად ამცირებს: online-გამოკვლევები, ვიზიტები და კონსულტაციები გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ექიმთან ვიზიტი. ამის გარდა, პაციენტი ზოგავს დროს და ტრანსპორტირების ხარჯებსაც.

ჩოხატაურში მოქმედებს კარგი ოფთალმოლოგიური კაბინეტი. ჯგუფის წევრებმა ეს განიხილეს, როგორც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძლიერი მხარე. მუნიციპალიტეტში ასევე მოქმედებს 6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, რომელსაც მართავს „წითელი ჯვარი“ და აფინანსებს მუნიციპალიტეტი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი აფინანსებს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამასაც. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ადგილობრივი მეწარმე ქალებისათვის კონკურსის გამოცხადება, რომელში გამარჯვების შედეგად მოიპოვებენ შესაბამის დაფინანსებას, მუნიციპალიტეტში ქალთა როლის გაძლიერებას ემსახურება.

დისკუსიის დროს ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ჯანდაცვისა და სოციალური სფეროში. ერთი-ერთი მწვავე საკითხია ამბულატორიების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური მხარე. სოფლის ამბულატორიების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, რამდენიმე ამბულატორია დანგრევის პირასაა და ექიმები და პაციენტები რეალური საფრთხის წინაშე არიან. არაერთი დაპირება აქვთ მიღებული სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგისგან, თუმცა ჯერჯერობით ქმედითი ნაბიჯები არ არის გადადგმული. სოფლად პირველადი ჯანდაცვის სერვისების უკეთესი კოორდინაციისა და მათი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით 2022 წლიდან „სოფლის ექიმის პროგრამის“ ადმინისტრირება გადაეცა სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგს. პროექტის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლად პირველადი ჯანდაცვის სერვისების განვითარებას, მოსახლეობისთვის უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.

სოფლის ექიმების პრობლემებს ემატება ტრანსპორტის საკითხი. ჩოხატაური გამოირჩევა მაღალმთიანი სოფლებით, როგორიცაა: ზოტი, ნაბელღავი, ქვაბლა, დიდივანი, ზემოსურები და სხვ. იქ ზამთარში თოვლის საფარი სამ მეტრს აღწევს, მუნიციპალიტეტი კი მის ხელთ არსებული ტექნიკური აღჭურვილობით შიდა გზების გაწმენდას კვირაობით ვერ ახერხებს. როგორც წესი, სოფლის ექიმებს უჭირთ დიდ მანძილზე გადაადგილება სოფლებში და პაციენტის მონახულება. ასევე რთულია მათი ამბულატორიამდე მისვლა, რადგან მუნიციპალიტეტის ცენტრიდან სოფელში დილის საათებში ტრანსპორტი არ გადის. ასევე ძნელია საღამოს მუნიციპალურ ცენტრში დაბრუნება. ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ ზოგ სოფელში არ არის ექიმი, რადგან ზამთარში იქ ასვლას ფიზიკურად ვერ ახერხებს.

მუნიციპალიტეტში გასულ წელს დაიხურა სამშობიარო კლინიკა, რასაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ჯგუფის წევრები თვლიან, რომ რთულია მშობიარე ქალისთვის ობზურგეტში ან ქუთაისში წასვლა, განსაკუთრებით უჭირთ დიდ მანძილზე გადაადგილება მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ ქალებს. ხშირად წუთები წყვეტს ყველაფერს და ამიტომ გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა სამშობიარო სერვისებზე მეტად მნიშვნელოვანია. მით უფრო, რომ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება ქვეყნისთვის პრიორიტეტია და ეს გაწერილია საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში, რომლის მიზანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ეფექტური ინტერვენციების შენარჩუნება და გაფართოება დედათა და ახალშობილთა გადარჩენის და მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის.¹⁵

სუსტ მხარეებში აღინიშნა ვიწრო სპეციალისტების ნაკლებობა მუნიციპალიტეტში. ჯგუფის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ექიმი-სპეციალისტები იშვიათად ჩამოდიან ჩოხატაურში. ასევე უჩივიან ბავშვთა სპეციალისტების ნაკლებობას მუნიციპალიტეტში. ზოგადად, ადამიანური რესურსების დეფიციტი მუნიციპალიტეტში ყველა მიმართულებით პრობლემაა.

ერთ-ერთ სუსტ მხარედ ასევე დასახელდა ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის საკითხი, კერძოდ, ის, რომ ფსიქოტროპული მედიკამენტები ჩოხატაურში არ გაიცემა და მოქალაქეებს უწევთ ობზურგეტში წასვლა.

წამალდამოკიდებულება დიდი პრობლემაა მუნიციპალიტეტში. ასევე ბევრი ახალგაზრდა მოიხმარს მარიხუანას და სხვა მავნე ნივთიერებებს.

სოციალური დაცვის მიმართულებით დასახელდა არაერთი პრობლემა, კერძოდ, დასაქმების პროგრამის სუსტი მხარეები. ფაქტია, რომ დასაქმების პროგრამა მოქალაქეს არ აძლევს საშუალებას, გავიდეს შრომის ბაზარზე, პროგრამა არის არის ორიენტირებული მოქალაქეების მოტივაციასა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სახელმწიფომ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად. დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს 4 წლის განმავლობაში გარანტირებულად შეუნარჩუნდება სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი დახმარება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ გადამოწმდება მისი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით დაანგარიშდება და ანაზღაურების ზღვარი (მაქსიმუმი) 300 ლარი იქნება. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის ნაცვლად ბენეფიციარს დასაქმება შრომის ბაზარზე არსებულ სხვა ვაკანსიებზედაც შეუძლია. სოციალურად დაუცველი პირი დასაქმების პროგრამაში იმ შემთხვევაშიც ჩაერთვება, თუ არაფორმალურადაა დასაქმებული. გემოთ აღნიშნულ შემ-

¹⁵ საქართველოს დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, საქართველოს მთავრობა, დადგენილება N459, 2017 წ.

თხვევებში, სოციალური შემწეობის მიმღები პირის სტატუსი არ გადამოწმდება.¹⁶ თუმცა ფაქტია, რომ ამ პროგრამის საშუალებით არ ხერხდება სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეების მოტივირება.

ერთხმად აღინიშნა ხანდაზმულთა დღის ცენტრის არსებობის საჭიროება, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტში. ასევე არ არის მცირე საოჯახო ტიპის სახლი. ჯგუფის წევრებმა მიუთითეს ადგილობრივ დონეზე პალიატიური სერვისების ფუნქციონირების აუცილებლობაზე. როგორც წესი, პალიატიური სერვისების მისაღებად მოქალაქეები მიდიან ბათუმში ან ქუთაისში. ჰოსპის ან პალიატიური ცენტრის გახსნის შესაძლებლობა ბევრი ადამიანისთვის შვება იქნებოდა. პალიატიური მზრუნველობა – ეს არის ქრონიკული, ინკურაბელური დაავადების მქონე პაციენტზე ორიენტირებული მულტიდისციპლინური მზრუნველობა. მასში ჩართული არიან ყველა დარგის სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ, პაციენტს გაუწიონ შესაბამისი დახმარება, რათა ის სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოების სრულყოფილ წევრად დარჩეს.

პალიატიური მზრუნველობა უზრუნველყოფს ადამიანის ღირსეულ, უტანჯველ სიცოცხლეს. მისი მიზანია, აამაღლოს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტის და მასზე მზრუნველი პირების ცხოვრების ხარისხი. პალიატიური მზრუნველობის ბენეფიციარია ქრონიკული დაავადების მქონე ყველა პაციენტი. ამ ტიპის მზრუნველობა იწყება ქრონიკული დაავადების დადასტურებისთანავე და გრძელდება მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში, რადიკალურ ჩარევებთან ერთად. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამა, რომელიც ფინანსდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ითვალისწინებს პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას და სპეციფიკური მედიკამენტებით პაციენტების უზრუნველყოფას.

ზოგადად, ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ სოციალური სერვისების განვითარება და გაუმჯობესება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მუნიციპალიტეტისათვის.

სამედიცინო პერსონალს აკლია ტექნოლოგიური (კომპიუტერთან მუშაობის) უნარ-ჩვევები. მათ არ აქვთ სამედიცინო პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება. განსაკუთრებით რთულია მუშაობა ელექტრონული ჯანდაცვის დანერგვის პირობებში, როცა მონაცემთა გაცვლას ელექტრონული სისტემა წარმართავს. ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების ფლობა მეტად მნიშვნელოვანია ციფრული ჯანდაცვის ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის სერვისების დანერგვის დროს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა დააფიქსირა გენერატორის საჭიროება. როგორც წესი, ვაქცინის ძირითადი ნაწილი არის რეგიონულ თუ მუნიციპალურ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრებში. ვაქცინისათვის საჭიროა ცივი ჯაჭვის პროცედურების დაცვა. ცივი ჯაჭვი გულისხმობს ვაქცინის საჭირო ტემპერატურაზე (მწარმოებლის მიერ დადგენილ ტემპერატურულ რეჟიმში) უწყვეტად მოთავსებას, მისი წარმოებიდან მოხმარებამდე. სხვადასხვა ვაქცინას ცივი ჯაჭვის განსხვავებული მოთხოვნები აქვს. მაცივარს კი სჭირდება უწყვეტი ელექტრომომარაგების წყარო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გენერატორის ქონა, რომ დაცული იყო ცივი ჯაჭვის პრინციპები.

ჯგუფის წევრების თქმით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის დიდი შესაძლებლობა

¹⁶ <https://www.moh.gov.ge/ka/news/6576/>

იქნება, თუკი ადგილზე გაკეთდება კორონაროგრაფია. კორონარული არტერიების დაავადება გულის დაავადებათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია და მას მთავარი ადგილი უკავია სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის. კორონაროგრაფია გულის მკვებავი სისხლძარღვების (კორონარების) დაზიანების გამოვლენის საუკეთესო მეთოდია. თუმცა მუნიციპალიტეტში ამ სერვისის აწყოებას საკმაოდ დიდი რესურსი სჭირდება – როგორც ფინანსური, ისე ადამიანური.

ჯგუფის წევრებმა დააფიქსირეს 3D ტომოგრაფიის საჭიროება სტომატოლოგიაში, რათა ადგილობრივ მოსახლეობას 3D ტომოგრაფიის გადასაღებად სხვა მუნიციპალიტეტში წასვლა აღარ მოუწიოს.

ჯგუფის წევრებმა შესაძლებლობებში განიხილეს სამედიცინო პერსონალის დაზღვევა, რადგან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა ხშირ შემთხვევაში არ ფარავს ექიმების სამედიცინო საჭიროებებს, ამიტომ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სამედიცინო დაზღვევა მნიშვნელოვანია თავად სამედიცინო პერსონალისთვისაც.

ჯგუფის წევრებმა შესაძლებლობად განიხილეს პროფესიული სასწავლებლის, „ჰორიზონტის“, არსებობა ჩოხატაურში. შესაძლებელია, პროფესიულმა სასწავლებელმა მოამზადოს ექთნები, ფარმაცევტები, ზრუნვის სპეციალისტები, რაც ადგილობრივ დონეზე გადაჭრის კადრების დეფიციტის პრობლემას. მოთხოვნის შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებელი დაამატებს საექთნო ან ფარმაცევტების მოსამზადებელ პროგრამას და შეძლებს, მოამზადოს რეგიონისათვის საჭირო რესურსი. შემუშავდება ზრუნვის პროგრამა და მომზადდებიან ზრუნვის სპეციალისტები.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს დიალიზის სერვისის აუცილებლობაზე. ადგილობრივ ბენეფიციარებს დიალიზის თერაპიის ჩასატარებლად სხვადასხვა მუნიციპალიტეტში უწევთ წასვლა, რაც დამატებით დროსა და ხარჯებთან არის დაკავშირებული. მუნიციპალიტეტი ფარავს ტრანსპორტირების საფასურს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ დიალიზის ცენტრები გაიხსნა ამბროლაურში, ყაზბეგში, ლანჩხუთსა და სხვა მუნიციპალიტეტებში, მაშინ სასურველია, ეს სერვისი პაციენტებისათვის ჩოხატაურშიც ხელმისაწვდომი იყოს.

ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ჯანდაცვის საკითხებზე, კერძოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ინფორმირებულობა პროფილაქტიკური კვლევების, ასევე, დემენციის საკითხებზე, ალზიმის საკითხზე მშობელთა განათლების გაღრმავება.

მუნიციპალიტეტში ფიქრობენ მულტიფუნქციური ცენტრის დაარსებაზე, რომელიც მოიცავს ხანდაზმულთა ზრუნვის საკითხებს. მნიშვნელოვანია, რომ ისეთი პროგრამა შედგეს და დაფინანსდეს, რომელიც დაფუძნებული იქნება მოსახლეობის რეალურ საჭიროებებზე და იქნება შესაბამისი მოთხოვნა მუნიციპალიტეტში. სოციალური სერვისების განვითარება განხილულ იქნა, როგორც შესაძლებლობა ჩოხატაურისათვის.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსების პროცენტული წილი მუნიციპალურ პროგრამებთან მიმართებით არ იცვლება და მნიშვნელოვანია მისი გაზრდა.

სამკურნალო ტურიზმი რეაბილიტაციის სერვისების განვითარებით შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს, როგორც სამომავლო შესაძლებლობა მუნიციპალიტეტისათვის.

ექიმი-კონსულტანტების სიმცირე და არარსებობა, ექიმების ხანდაზმული ასაკი დიდი პრობლემაა მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სექტორში ადამიანური რესურსების ნაკლებობა მკვეთრად გამოხატულია მუნიციპალიტეტში. ამას ემატება ადგილზე ექიმების კვალიფიკაციის დონე და უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი მონაწილეობის აუცილებლობა.

ექიმების სამოტივაციო სქემებზე საკუთარი მოსაზრება ჯგუფის ყველა წევრმა გამოხატა. კარგი სამუშაო გარემო, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, სტაჟირება და სხვა დამატებითი მექანიზმებია საჭირო, რომ პირველადი ჯანდაცვის ექიმს, ოჯახის ექიმს და ექიმ-სპეციალისტებს შეეძენათ პირობები და წავიდნენ რეგიონებში სამუშაოდ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩამოვიდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები და გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმუშაონ გამოცდილი, ხანდაზმული პროფესიონალების გვერდით. ასევე აუცილებელია სოციალური შეღავათების გაწევა იმ ექიმებისათვის, რომლებიც სამუშაოდ მუნიციპალიტეტში წავლენ. არსებობს მოტივაციის ამაღლების სხვადასხვა სქემის დანერგვის პრაქტიკა – მაგალითად, შორეულ რეგიონებში განწესებულ ჯანდაცვის სპეციალისტებს როგორც ცენტრალურმა მთავრობამ, ისე მუნიციპალიტეტმა შეიძლება შესთავაზონ გარკვეული შეღავათები, როგორიცაა მიწის რეგისტრაცია, მისი ოჯახის წევრისთვის სხვადასხვა პროგრამის დაფინანსება, რემიდეტურის, გაცვლითი პროგრამების დაფინანსება. ასევე, სასურველია, გამოყენებულ იქნეს როტაციის პრინციპი, რადგან ჩასული ექიმებისათვის მუდმივად სხვა გარემოში ცხოვრება რთულია. ადგილობრივი თემი უნდა წყვეტდეს, თუ რა სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი. იმისთვის, რომ სერვისის უწყვეტობა გარანტირებული იყოს, არ არის აუცილებელი, რომ ექიმი-სპეციალისტი 24 საათს ადგილზე დარჩეს. საჭიროა ადამიანური რესურსების სწორი დაგეგმვა. ცენტრალიზებული მართვის შემთხვევაში კონკრეტული საჭიროებები ხშირად არ არის ცნობილი ცენტრალური მთავრობისათვის: სად რა სერვისი შემოიღოს, სად რა ტრანსპორტი დანიშნოს, სად რა აპარატი არის საჭირო.

ჯანდაცვისა და სოციალური სექტორის წინაშე არსებული საფრთხეებიც გამოიკვეთა, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის (განსაკუთრებით ოჯახის ექიმებისა და ექთნების) დეფიციტი. გურია რეალურად დგას საფრთხის წინაშე, რომ 10-15 წელიწადში შეიზღუდება ბაზისურ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა სამედიცინო პერსონალის არარსებობის გამო.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ქვეყანაში განისაზღვრა, როგორც საფრთხე ჯანდაცვისა და სოციალური სექტორის განვითარებისათვის. ამას ერთვის ინფლაცია და აღურიცხავი შემოსავალი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში აისახება ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორზე.

7.1 ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
„გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით; ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე, კერძოდ, სკრინინგის პროგრამაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; პროფესიონალ ექიმთა, კერძოდ, ქირურგის, მეან-გინეკოლოგის, ოფთალმოლოგის რესურსი ადგილზე; სახელმწიფო პროგრამები და მათი ეფექტიანი განხორციელება; ტელემედიცინის სერვისების ფუნქციონირება; ხარისხიან ოფთალმოლოგიურ სერვისზე ხელმისაწვდომობა; 6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი	სამედიცინო პერსონალის დაბალი ანაზღაურება; სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების (მაგ., სკრინინგის პროგრამა) შესახებ მოსახლეობის ცნობიერების დაბალი ხარისხი; სოფლის ექიმების ტრანსპორტირება; ამბულატორიამდე პაციენტების ტრანსპორტირება; ექთნების დეფიციტი; პირველადი ჯანდაცვის, როგორც ინსტიტუციური რგოლის, ზოგადი სისუსტე; სოფლის ამბულატორიების მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და სუსტი ტექნიკური აღჭურვა; საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების სახელმწიფო პროგრამის არაეფექტიანი მოდელი და დიზაინი; ადგილზე სამშობიაროს არარსებობა; ადგილზე ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის არქონა; ადგილზე დიალიზის სერვისზე ხელმისაწვდომობის არარსებობა; ხანდაზმულთა დღის ცენტრის არარსებობა; მცირე საოჯახო ტიპის სახლის არარსებობა; ადგილზე პალიატიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის არქონა; შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოს არქონა

შესაძლებლობები	საფრთხეები
სამედიცინო პერსონალისთვის ტექნოლოგიური (კომპიუტერთან მუშაობის) უნარ-ჩვევების განვითარებით ჯანდაცვის სერვისების ხარისხიანობის გაზრდა; ადგილზე კორონოგრაფიის სერვისის შეთავაზება; 3D სტომატოლოგიური ტომოგრაფიის სერვისის დაწერვა; სამედიცინო პერსონალის დაზღვევის პაკეტების შექმნა; არსებული პროფესიული სასწავლებლის, „ჰორიზონტის“, რესურსის გამოყენება კადრების გადამზადება-გაძლიერებისთვის; სამკურნალო ტურიზმის (სარეაბილიტაციო სერვისების) განვითარება; სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტის გაზრდა; ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებზე და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა (წახალისება); დღის ცენტრის დაარსება შშმ პირებისათვის	სამედიცინო პერსონალის (განსაკუთრებით ოჯახის ექიმებისა და ექთნების) დეფიციტი; ინსტიტუციებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა, განსაკუთრებით ბავშვებზე ზრუნვის საკითხებში; თვითმკურნალობის პრაქტიკის მზარდი ტენდენციები; პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა

7.2 რეკომენდაციები

საჭიროებებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები იმ სფეროებში, რომლებიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემისთვის:

- მნიშვნელოვანია სოციალური სერვისების, კერძოდ, საოჯახო ტიპის სახლების, ხანდაზმულთა დღის ცენტრის, შშმ პირებზე ზრუნვის სერვისების და ა.შ. განვითარება;
- ტელემედიცინის განვითარება და სოფლის ამბულატორიების ჩართვა ტელემედიცინის პროექტში, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით და ევროკავშირის მხარდაჭერით; ზოგადად, მუნიციპალიტეტში პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერება აუცილებელია;
- სოფლის ამბულატორიების ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება;
- სოფლის ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- დასაქმების მხარდამჭერი ღონისძიებების დაწერვა;

- მუნიციპალიტეტის სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფა (პროგრამა), კერძოდ: ცენტრალურმა მთავრობამ და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა შეიძლება გარკვეული შეღავათები შესთავაზონ მუნიციპალიტეტებში განწესებულ ჯანდაცვის სპეციალისტებს. აუცილებელია ექიმების სამოტივაციო სქემების დანერგვა, რათა ახალგაზრდა სპეციალისტებს ჰქონდეთ სტიმული, იმუშაონ მუნიციპალიტეტში გარკვეული პერიოდის განმავლობაში;
- პროფესიულ სასწავლებელ „ჰორიზონტში“ საექტონო და ფარმაცევტების მოსამზადებელი პროგრამის დამატება, ასევე, ზრუნვის პროგრამის შექმნა, რომელიც მოამზადებს ზრუნვის სპეციალისტებს. კურსდამთავრებულები ადგილზე დასაქმდებიან;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის პროექტის შემუშავება, რომლის მიზანი იქნება მოსახლეობაში ფიზიკური აქტივობის, ჯანსაღი კვებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება.

8. ადგილობრივი ეკონომიკისა და მენარმეობის განვითარება

რეგიონში ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა როგორც სახელმწიფო, ისე სხვა სექტორების წარმომადგენლებისათვის. კერძო სექტორის გაძლიერება და მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების, ადგილობრივი მცხოვრებლების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, მათი საცხოვრებელი გარემოსა და პირობების გაუმჯობესების კუთხით. პროექტის ფარგლებში ჩოხატაურის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა (LAG), სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, გამართა სამუშაო შეხვედრა და მოამზადა დარგის SWOT-ანალიზი შემდგომი ღონისძიებებისა და აქტივობების ეფექტიანად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით:

8.1 ადგილობრივი ეკონომიკისა და მენარმეობის განვითარების დარგის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სპეციფიკური ბუნება და რელიეფი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის სიახლოვე სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებთან (ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტები, ბათუმისა და ფოთის პორტები, ქუთაისისა და ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონები) ტურიზმის პოტენციალი (მთის კურორტები, ბალნეოლოგიური და მინერალური წყლები, 8 ჩანჩქერი, გორა-ბერეჟოულის დენდროლოგიური პარკი, პონტოს მუხის ნაკრძალი, შუა ფარცხმის ტყე-პარკი, გასტრონომიული ტურიზმის განვითარება) ბიზნესისა და ინვესტორებისთვის მეგობრული გარემო (საერთაშორისო სერტიფიკატი)	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიმცირე გასაღების ბაზრების სიმცირე ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო სერვისების (სარეკლამო სააგენტოები, საკონსულტაციო მომსახურება, მუნიციპალური ტრანსპორტი, ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები, ვეტერინარული მომსახურება, ადგილობრივი მეტეოსადგური) არარსებობა ბუნებრივი საფრთხეები დაბალი კონკურენცია ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დეფიციტი სამეწარმეო განათლებისა და კომპეტენციების დაბალი დონე საზოგადოებაში

ღია სივრცე განვითარებისთვის შექმნილია საინვესტიციო პროფილი (შეთავაზებები, ინვესტორის მომსახურების სტანდარტები) ბუნებრივი რესურსები (ხე-ტყე – მერქნული და არამერქნული, მინერალური და ბალნეოლოგიური წყლები, ჰიდრორესურსები – 3 ჰესი, ზოტის ოქროს საბადო, მოსაპირკეთებელი მასალები) სამრეწველო სექტორი – „ნაბელავის“ ქარხანა, ხის გადამუშავება კულტურული მემკვიდრეობა ადგილობრივი განვითარების დოკუმენტები და მათი შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართვის პრაქტიკა (მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტები, 2023-2027 წლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, ნარჩენების მართვის გეგმა, მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (SECAP), ტყის მართვის გეგმები, საფრთხეების ადრეული შეტყობინების და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების შეფასების სამოქმედო გეგმის დოკუმენტზე მუშაობა, მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალიტეტის დოკუმენტი SDG) დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება და ჩამოყალიბებული პარტნიორული ურთიერთობები მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები პროფესიული სასწავლებლის არსებობა ფესტივალებისა და გამოფენების ჩატარების პრაქტიკა ინფრასტრუქტურული პროექტების საბიუჯეტო დაფინანსების მზარდი ტენდენცია მოქალაქეთა და საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობა თვითმმართველობაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოტენციალი	ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პლატფორმების (დარგობრივი ასოციაციები და სხვ.) სიმცირე საფინანსო ინსტიტუტების სიმცირე (ჩოხატაურში მხოლოდ „ლიბერთი ბანკი“ და „კრედიტ ბანკი“ ფუნქციონირებს) ერთიანი საკანალიზაციო სისტემის არარსებობა, სოფლების წყალმომარაგების ერთიანი სისტემის არარსებობა მიგრაცია, სამუშაო ძალის გადინება ადგილობრივი ბიუჯეტის მცირე შემოსავლები არასაკმარისად განვითარებული ტურიზმის სფერო და ტურისტული ინფრასტრუქტურა, კვების ობიექტებისა და განთავსების ადგილების სიმცირე არასათანადო ხარისხის სამეწარმეო განათლება და ცოდნა, სპეციალისტების სიმცირე ცენტრალიზაცია და ბიუროკრატია, კომუნიკაციის სირთულე (მაგ., ქონების გამიჯვნის საკითხებში, ტყის რესურსებთან მიმართებით) კერძო და საჯარო სექტორებს შორის არასათანადო კომუნიკაციის არსებობა სათანადო რესურსების არქონის გამო დაუსრულებელი და დროში გაჭიანურებული ბიზნესპროექტები საფრთხეები ბუნებრივი კატაკლიზმები, კლიმატის ცვლილებები პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა რეგიონში მიგრაცია საკანონმდებლო რეფორმების დაყოვნება ცენტრალიზაცია პანდემიები, ეპიდემიები მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და პარაზიტების გავრცელება
---	--

შესაძლებლობები	ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამები	მოუქნელი სადაზღვევო სისტემა
ინვესტიციების მოზიდვა	ბიუროკრატია და ცენტრალიზაცია
ევროინტეგრაცია	სესხის მაღალი და მოუქნელი საბანკო პროცენტები
გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა	
ნარჩენებისგან რესურსეფექტური/რესურსდამზოგავი წარმოების ხელშეწყობა	
ტყის რესურსების, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოძრავი და უძრავი ქონების თვითმმართველობისთვის გადაცემა	
საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების საგრანტო რესურსები	
ენერგოეფექტური გადაწყვეტილებების დანერგვა	
კლიმატგონივრული ღონისძიებების გატარება (გარემოზე ზემოქმედების შემცირება, ნაკლები ემისიები და სხვ.)	
ეროვნულ და საერთაშორისო გამოფენებში, ფორუმებში მონაწილეობა	
მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობიერების ამაღლება	
არსებული წყლის (მტკნარი და მინერალური) რესურსების გამოყენება	
ტურიზმის განვითარება	
მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ცნობადობის ზრდა	
კურორტებისა და დაცული ტერიტორიების რესურსების გამოყენების ხელშეწყობა	
ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და ადგილობრივი წარმოების სტიმულირება	
ხელმისაწვდომი ფინანსები ბიზნესისთვის	
მზის, ქარის, წყლის ენერგიის გამოყენება	
ცოდნის და უნარების შეძენის ხელშეწყობა	
წარმატებული ბიზნესგამოცდილების გაზიარება	

კოოპერაციული კავშირების შექმნა (მიწის ფრაგმენტაციის აღმოფხვრის მიზნით)	
ადგილობრივი ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა	
ბიზნესსერვისების განვითარება	
ბაზრების დივერსიფიკაცია	

9. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა ერთ-ერთი მთავარი და მულტი-სექტორული პრიორიტეტული მიმართულებაა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა ის საკითხებია, რომელთაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სახის საქმიანობების განხორციელების პროცესში. გურიის რეგიონი, კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, თუმცა გარემოსდაცვითი განათლების დაბალი დონე ქმნის პრობლემებს რესურსების მდგრადი გამოყენების თვალსაზრისით. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან გარემოსდაცვითი აქტივობების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ოპერირებისთვის. სწორედ ამიტომ ჩაატარა ჩოხატაურის LAG-მა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად სამუშაო შეხვედრები და მოამზადა აღნიშნული დარგის SWOT-ანალიზი:

9.1 გარემოს დაცვის მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით წყლის რესურსების) მრავალფეროვნება; ტყის საფარი; მდინარეები (3 მდინარე); ბიომრავალფეროვნება; ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; დაცული ტერიტორიები; მრავალფეროვანი ლანდშაფტი და ნაყოფიერი ნიადაგი	წყლის რესურსების არამდგრადი გამოყენება; ცნობიერების დაბალი დონე გარემოსდაცვით საკითხებში; წყლის სათავე ნაგებობებთან მისასვლელი გაუმართავი ინფრასტრუქტურა; ინერტული მასალის არაკეთილსინდისიერი მოპოვება; საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა; გამწმენდი ნაგებობების არარსებობა; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება; ბრაკონიერობა; ნარჩენების სეპარირების პრაქტიკის არარსებობა; ნარჩენების მართვის პოლიტიკის არასათანადო აღსრულება; გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა; არასტანდარტული ნაგავსაყრელები; ნაგვის ურნების არასაკმარისი რაოდენობა; ტყის სანიტარიული ჭრის სუსტი მენეჯმენტი; სუფთა სასმელ წყალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა (დაბინძურება და ფილტრაცია); გაუწმენდელი სანიაღვრე არხები

შესაძლებლობები	საფრთხეები
წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენება; ქარისა და მზის ენერგიის სისტემების დანერგვა და ელექტროენერგიის გამომუშავება; ლანდშაფტისა და მიწების მიზნობრივად ათვისება და საძოვრებზე ელექტრომწყემსების დაყენება; ქარსაფარი ზოლების აღდგენა; კომპოსტირება და ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობა; ბრიკეტების წარმოება; გარემოსდაცვითი კამპანიების განხორციელება მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების და სხვა რესურსების გამოყენება	ბუნებრივი კატაკლიზმები/საფრთხეები (მეწყერი, ღვარცოფი, ქარი); ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანი გამოყენება; პანდემია/ეპიდემია; დაავადებების გავრცელება; არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო

10. განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტების პოტენციალისა და იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც, შესაძლოა, აფერხებდეს პროგრესს და ზღუდავდეს შესაძლებლობების დანახვა-გამოყენებას. სწორედ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში LAG-ის წევრების ჩართულობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საგანმანათლებლო, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხების განსახილველად, იმის დასადგენად, თუ როგორია ამ სფეროებში მუნიციპალიტეტში არსებული პოზიტიური პრაქტიკა, პრობლემები და მათზე რეაგირების საშუალებები. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, ადგილობრივი მეწარმეები, სკოლების, საბავშვო ბაღების, პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლები და სკოლის მოსწავლეები. სამუშაო შეხვედრაზე, მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, შეიქმნა სამი ჯგუფი შემდეგი მიმართულებებით: (1) განათლება; (2) სპორტი; (3) ახალგაზრდობა.

ჯგუფებმა მოამზადეს SWOT-ანალიზები, რომლებიც ცხადყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებსა და მოთხოვნებს კულტურული თუ საგანმანათლებლო მიმართულებით, მათი დაკმაყოფილების პროცესში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვის აუცილებლობას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის მიგრაციის შეჩერებას და ადამიანური და ინტელექტუალური რესურსის მუნიციპალიტეტში შეკავებას.

განათლება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს როგორც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული კოლეჯი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განათლების სამივე საფეხურის სიღრმისეული ანალიზი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 21 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაა. გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში მაღალია სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი, რადგან მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში თითო ბავშვი ფუნქციონირებს. ხელმისაწვდომობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს, მონაწილეთა აზრით, აღსაზრდელთა მზარდი რაოდენობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში¹⁷. ამასთან, მუნიციპალიტეტში (სოფელ გუთურში) ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ცენტრი, რომელიც ემსახურება 5-6 წლის აღსაზრდელებს და სპეციალური პროგრამით ამზადებს მათ სასკოლო საფეხურისთვის. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სასკოლო მზაობის ცენტრი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვებში იმ უნარ-ჩვევების გაძლიერებას, რომლებიც ბავშვიდან სკოლაში გადასვლისთვის არის საჭირო. შესაბამისად, მაღალია სასკოლო მზაობის ხარისხი, რაც შემდგომში უადვილებს სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს დასახული მიზნების მიღწევას. აღინიშნა, რომ ბავშვებში აღზრდელები ცდილობენ, მიჰყვენ სტანდარტს და გამოიყენონ ყველა ის მეთოდი, რომლებიც თანამართ სწავლებას უწყობს ხელს. ამასთან, აღზრდელები ამზადებენ რეფლექსიებს, რის მონიტორინგსაც ატარებს საბავშვო ბავშვების გაერთიანება. მონაწილეების თქმით, მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია სკოლამდელი აღზრდის სტანდარტით გათვალისწინებული მიმართულებების მონიტორინგის წესი. გარდა შიდა მონიტორინგისა, ის ტარდება ასევე აუდიტის მიერ. გამოიკვეთა, რომ კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენის მიმართულებით ბავშვებში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ძლიერ მხარედ დასახელდა ასევე უწყებათაშორისი თანამშრომლობა და ინოვაციური პროგრამების დანერგვის გამოცდილებაც, კერძოდ, აღინიშნა, რომ ბავშვების გაერთიანება ღია თანამშრომლობისთვის როგორც საჯარო, ისე კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამის მაგალითია ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ თანამშრომლობა და სკოლის მოსწავლეების სტაჟირების პროგრამის განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2 საბავშვო ბავშვთა ცენტრში. მონაწილეთა თქმით, მსგავსი პრაქტიკა ხელს უწყობს მოსახლეობაში სკოლამდელი განათლების მიმართ დაინტერესების ზრდას და მისი მნიშვნელობის გააზრებას.

ძლიერ მხარეებთან ერთად, მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვთა სტატისტიკის არარსებობაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ბავშვების გაერთიანება არ ფლობს ინფორმაციას, რამდენი ბავშვი არ დადის ბავშვთა ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლების საფეხური არ არის სავალდებულო, აღნიშნული სტატისტიკის არსებობა მნიშვნელოვანია, რათა შესაძლებელი იყოს ოჯახებში არსებული სხვადასხვა დისფუნქციის იდენტიფიცირება და ბავშვის საუკეთესო

¹⁷ შენიშვნა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2018-2019 წლებთან შედარებით აღსაზრდელთა რაოდენობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბავშვებში შემცირებულია, თუმცა 2020-23 წლებში შეინიშნება ამ რაოდენობის მცირე ზრდა. აღნიშნული გარემოების გამომწვევი სავარაუდო მიზეზი 2019 წელს დაწყებული პანდემიაა.

თესო ინტერესების გათვალისწინება. აქვე უნდა აღინიშნოს სკოლამდელი განათლების მიმართ საზოგადოებაში არსებული არაერთგვაროვანი განწყობაც – მოსახლეობის ნაწილი ბაღს ნაკლებად ანიჭებს საგანმანათლებლო ფუნქციას და მას განიხილავს ადგილად, სადაც აღსაზრდელი უზრუნველყოფილია საკვებით და იმყოფება მეტ-ნაკლებად უსაფრთხო გარემოში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელთა წინაშეც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არაერთი ბაღი დგას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს ახალი ბაღების მშენებლობის პროცესი, ეს საერთო სურათს ჯერჯერობით საგრძნობლად ვერ ცვლის. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება შშმ და სსსმ აღსაზრდელების შემთხვევაში, რადგან შენობებში, ძირითადად, არ გვხვდება ადაპტირებული გარემო, არ არის პანდუსები, ლიფტი, ადაპტირებული საპირფარეშოები. ძნელდება ინკლუზიური განათლების დანერგვაც, რადგან მუნიციპალიტეტში ადამიანური რესურსის, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობაა.

გარდა ამისა, ბაღის თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგანმანათლებლო რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მოძველებული და არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტერნეტზე შეზღუდული წვდომა. შეხვედრის მონაწილეთა თქმით, ბაღებს უმეტესად არ აქვთ საგანმანათლებლო რესურსები, სათამაშოები, რომლებიც მათ აღმზრდელებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის სჭირდებათ. ხშირად მათ საკუთარი სახსრებით უწევთ საბაზისო რესურსების შეძენა. ამასთან, არ გააჩნიათ კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი, რაც ძალიან აფერხებს აღსაზრდელთა განვითარებას. ზოგადად, დიდი გამოწვევაა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საფეხურზე დასაქმებული პირების კარიერული განვითარებისა და წინსვლის შეზღუდული შესაძლებლობები – ერთი მხრივ, ნაკლებია მათი მოტივაცია, აიმაღლონ კვალიფიკაცია, რაც გამოწვეულია ბაღში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურებით; ამასთან, მუნიციპალიტეტსაც არ გააჩნია ბიუჯეტში ფინანსური რესურსი¹⁸, რომელიც მიმართული იქნება ბაღის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ. შესაბამისად, არსებობს კვალიფიკაციის პრობლემა, რაც გამოიხატება სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესში თანამედროვე სტრატეგიების იშვიათად გამოყენებით, აღსაზრდელებში არასწორი ფასეულობების ჩამოყალიბება-გაძლიერებით და სხვ.

პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ მუნიციპალიტეტში მაღალია როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიდა მიგრაციის მაჩვენებელი და ვერ ხერხდება ახალი კადრების მოზიდვა, რაც გააჯანსაღებდა პროცესს.

კიდევ ერთი პრობლემა, მონაწილეთა აზრით, არის მშობლების ნაკლები ჩართულობა შვილის/შვილების საგანმანათლებლო პროცესში. ამ მიმართულებით კი აღსაზრდელთა მშობლებისთვის საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრების უზრუნველყოფის დიდი გამოცდილება ბაღის პერსონალს არა აქვს, არ არის დანერგილი ამ ორ რგოლს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის სტრატეგიები; შესაბამისად, სათანადოდ არ არის გააზრებული, თუ რას მოიცავს მშობლის ჩართულობის კომპონენტი და როგორ, რა მექანიზმებით შეუძლია ბაღს, დაეხმაროს მას.

¹⁸ შენიშვნა: 2024 წლის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, წინა წელთან შედარებით, ცოტათი გაზრდილია სკოლამდელი განათლების მიმართულებით გამოყოფილი თანხა, თუმცა ამგვარი ცვლილება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ მოახდენს პროცესზე.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ძლიერი მხარე ამ მიმართულებით არის ავტორიზებული სკოლებისა და მასწავლებელთა სხვადასხვა სტატუსის (წამყვანი და მენტორი) მხარდი მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ფაქტორი, მათი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ სკოლები ცდილობენ, მიჰყვნენ არსებულ სტანდარტებს და გამოიყენონ სწავლების თანამედროვე მიდგომები. გარდა ამისა, სკოლებში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკები და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ იქ არსებული წიგნადი ფონდი. ჩოხატაურში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია არაფორმალური და სხვა ტიპის საგანმანათლებლო წრეებიც.

თუმცა გამოწვევად ჩაითვალა სკოლების (განსაკუთრებით მცირეკონტინგენტიანი სკოლების) მწირი ბიუჯეტი, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, არ არის საკმარისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო სკოლებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი მცირე პროექტების განხორციელებაზე.

სკოლებში არსებობს ინფრასტრუქტურის პრობლემები, რადგან შენობები უმეტესად არ შეესაბამება არსებულ სტანდარტს და ამგვარი გარემო ნეგატიურად მოქმედებს როგორც სასკოლო საზოგადოების მოტივაციაზე, ისე სასკოლო ცხოვრებასა და მოსწავლეთა შედეგებზედაც. იმ სკოლებშიც კი, რომლებშიც მოწესრიგდა აღნიშნული პრობლემები, კვლავაც გამოწვევად რჩება სასკოლო რესურსების, ლაბორატორიების, სპორტული ინვენტარის და ა.შ. ნაკლებობა. განსაკუთრებით პრობლემურია STEM-საგნებში ლაბორატორიების არარსებობა, ასევე, იმ კადრების დეფიციტი, რომლებსაც შეუძლიათ არსებული ლაბორატორიების ამუშავება. STEM-საგნების მიმართულებით კვალიფიკური კადრების სიმცირეა ასევე მუნიციპალიტეტში. კვალიფიკაციის ნაკლებობა არა მხოლოდ ამ საკითხში იჩენს თავს, არამედ, ზოგადად, სკოლის ადმინისტრაცია-სა და პედაგოგებშიც, რაც აფერხებს მათ, დაწერონ სწავლებისა და მართვის თანამედროვე მიდგომები/მეთოდები. მიუხედავად მრავალი ტრენინგისა, რომლებიც მათ გავლილი აქვთ, კვლავ რჩება გამოწვევები, რადგან სკოლის დირექციის წარმომადგენლები ვერ ახერხებენ სკოლის დამოუკიდებლად მართვას; მართვის სტილიც ხშირ შემთხვევაში არ არის ორიენტირებული თანამშრომლობითი პრაქტიკის შექმნაზე, არ არსებობს (ან არაეფექტურია) მონიტორინგის შიდა მექანიზმები. მასწავლებელთა ნაწილი ვერ ახერხებს მოსწავლეთა დაინტერესებას და მოტივირებას, ზოგჯერ არ არის გამჭვირვალე მოსწავლეთა შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, შესაბამისად, დაბალია მოსწავლეთა აკადემიური შედეგები.

სკოლა დღესდღეობით მოსწავლეებში ვერ უწევს პოპულარიზაციას ჯანსაღი ცხოვრების წესს, გარემოს დაცვას და სხვა დემოკრატიულ ღირებულებებს. ამასთან, სკოლებში კვლავაც არსებობს გარკვეული სტიგმა პროფესიული განათლების მიმართ, ახალგაზრდების უმრავლესობის პროფესიულ არჩევანს კი ხშირად სწორედ საზოგადოებაში არსებული განწყობა განაპირობებს. გარდა ამისა, მოსწავლეები (განსაკუთრებით მუნიციპალური ცენტრიდან დაშორებული სოფლების მცხოვრებლები) ხშირად ვერ სარგებლობენ მუნიციპალიტეტის ბაზაზე არსებული არაფორმალური და სხვა წრეების მომსახურებით, რადგან, მიუხედავად ტრანსპორტის არსებობისა, ის ზოგჯერ არ არის მორგებული მოსწავლეთა განრიგზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სტანდარტების შესაბამისი და თანამედრო-

ვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროფესიული კოლეჯი, რომელსაც აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ბაზრის კვლევის შედეგად დანერგილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები. კოლეჯში სტუდენტებს აქვთ წვდომა კომპიუტერებზე, ინტერნეტზე, ახალგაზრდულ სივრცეზე, კაფეტერიასა და ბიბლიოთეკაზე. სასწავლებელი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირებს, 100 სტუდენტზეა გათვლილი და მათ სთავაზობს ისეთ სადიპლომო პროგრამებს, როგორიცაა ვენახის გაშენება-მოვლა, ღვინის დაყენება საოჯახო მარანში, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა, სკოლამდელი აღზრდა და სხვ. აღნიშნული კურსები ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტში არსებული პოტენციალის იდენტიფიცირებას მეღვინეობის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მეორე მხრივ, ცდილობს მივიწყებულ დარგების პოპულარიზებას ახალგაზრდებში. აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესიული კოლეჯში არის ღვინის კვლევის ლაბორატორია, რაც მცირე მარნებს უადვილებს ღვინის ლაბორატორიულ კვლევას და, ამასთან, ხელს უწყობს მეღვინეებს, რომ მათ მიერ მიერ დაყენებული ღვინო სტანდარტის შესაბამისი იყოს. ეს კი საშუალებას აძლევს მათ, ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყვნენ. გარდა ამისა, კოლეჯი თანამშრომლობს სხვადასხვა ლაბორატორიასთან, რის შედეგადაც შესაძლებელია ადგილზე ნიადაგის კვლევის ჩატარება. ეს კი სხვადასხვა კულტურის მოყვანისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კოლეჯში პრიორიტეტულია გურული ვენახის ჯიშების პოპულარიზება და ყურადღება ექცევა მათ დარგვას/ჩაყრასა და შემდგომ მოვლას. პროფესიული კოლეჯი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მათი დახმარებით სასწავლებელმა შეიძინა მზის პანელები და დისტანციური მორწყვის საშუალება. პროფესიული კოლეჯი თანამშრომლობს ჯილაურას მეურნეობასთან, რომლის ხელშეწყობითაც 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე გაშენებულია ხეხილი. სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა ჯიშს, რომელთა გადარჩენაც, მუნიციპალიტეტში არსებული ნიადაგისა და ჰავის გათვალისწინებით, შესაძლებელია. პროფესიული კოლეჯი ცდილობს, ხელი შეუწყოს სტუდენტებში მეწარმეობისა და თვითდასაქმების უნარ-ჩვევების გაძლიერებას. გარდა ამისა, სასწავლებელი თანამშრომლობს აგრარულ უნივერსიტეტთან და მიმართულებებს, რომლებშიც ადგილობრივი კადრების დეფიციტია, სწორედ აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები უძღვებიან. ისინი სწავლებას წარმართავენ ჰიბრიდული მეთოდის გამოყენებით – სესიები ტარდება როგორც online-რეჟიმში, ისე პირისპირ.

პროფესიული კოლეჯი ასევე თანამშრომლობს სკოლებთან მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით და შეაქვს იქ სხვადასხვა პროგრამა. პროფესიულ კოლეჯსა და ბალების გაერთიანებასაც აქვს თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება, რადგან ბაღის პედაგოგთა ნაწილი ამ ეტაპზე სწორედ პროფესიულ კოლეჯში გადის კურსს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. შესაძლებელი გახდა განრიგზე შეთანხმება კოლეჯსა და გაერთიანებას შორის. საბოლოო ჯამში, 2 წლის განმავლობაში კოლეჯმა მოახერხა წარმატებული ისტორიების შექმნა, არიან კურსადამთავრებულებიც, რომლებიც წარმატებით დასაქმდნენ სხვადასხვა მიმართულებით.

რაც შეეხება სუსტ მხარეებს, მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლება საკმარისად არაა ხელმისაწვდომი ყველასთვის, რაც მეტწილად გამოწვეულია ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემებით. ერთი მხრივ, კოლეჯს არ გააჩნია საკუთარი ტრანსპორტი; მეორე

მხრივ, მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგი ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების სესიებზე დროულად დასწრების შესაძლებლობას. პროფესიულ კოლეჯს ასევე არ აქვს სპორტული მოედანი და სპორტული სექციები, რომელთა არსებობა ხელს შეუწყობდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას.

კვლავაც არსებობს სტიგმა პროფესიული სასწავლებლის და პროფესიული განათლების მიმართ. მაგალითად, სკოლებში მხოლოდ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს სთავაზობენ პროფესიულ კოლეჯში სწავლის გაგრძელებას. ამის შედეგად, პროფესიულ სასწავლებელში სკოლიდან ახალგაზრდები მოდიან ისე, რომ მათ არ აქვს საბაზისო უნარ-ჩვევები, რაც სწავლისთვის მნიშვნელოვანია; არ აქვთ განვითარებული ე.წ. რბილი უნარები და ა.შ. შესაბამისად, მათთვის რთულია პროგრამებით გათვალისწინებული მასალის დაძლევა. პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე კვალიფიციური კადრების მოძიებაც, რაც მეტწილად შიდა და გარე მიგრაციის შედეგია.

გარდა ამისა, თითქმის არ არსებობს ბიზნესსა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება, რადგან ადგილობრივ დონეზე, მეტწილად, არ არის საკმარისი შესაძლებლობები თუნდაც დუალური სწავლების დანერგვის მიმართულებით. კერძო სექტორი ვერ უზრუნველყოფს სტაჟირების პროგრამებს სტუდენტებისთვის. მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა თანამშრომლობითი პრაქტიკის გაღრმავება განათლების სხვადასხვა საფეხურს (ბაღი, სკოლა, პროფესიული კოლეჯი) შორის, რათა თითოეულის საქმიანობამ გაუადვილოს ბავშვებს ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის პროცესი, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია შემდგომი საფეხურის შესახებ, რათა ახალგაზრდამ გააზრებულიად მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს ახალი კადრების მოზიდვასა და წახალისებას როგორც სკოლებსა და ბაღებში, ასევე პროფესიულ კოლეჯში. აღნიშნული შესაძლებლობის არსებობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მიგრაციის ნიშნულის შემცირება. ახალგაზრდებს გაუჩნდებათ სურვილი, დაბრუნდნენ საკუთარ მუნიციპალიტეტებში. ამ მიზნის მიღწევას შეიძლება ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის ტურისტული და სოფლის მეურნეობის მიმართულებების პოპულარიზებამ და განვითარებამ, ენდემური ჯიშების აღმოჩენამ და მათმა გაშენებამ/წარმოებამ, მცირე მეწარმეების მხარდაჭერამ, რაც გააძლიერებს მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს.

ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი პრაქტიკის გაღრმავება საერთაშორისო დონორებსა და ადგილობრივ კერძო ორგანიზაციებთან, ერთი მხრივ, დამატებითი რესურსების/გრანტების მობილიზების კუთხით, ასევე პროფესიულ კოლეჯში დუალური სწავლების დასანერგად და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების შესაქმნელად.

ყურადსაღები საფრთხეა არამდგრადი საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც ხშირად მინისტრების ცვლილებას უკავშირდება. შესაბამისად, რთულია გრძელვადიანი მიზნების დასახვა იმ პირობებში, როცა არსებობს მუდმივი ცვლილების მოლოდინი და ნაკლებია სტაბილურობის განცდა. გარდა ამისა, საფრთხის შემცველია მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პროგრამების განხორციელების შეწყვეტა ან დაფინანსების კლება. ზოგადად, მოსახლეობის ინდიფერენტული დამოკიდებულება ქმნის დაბრკოლებას ზემოაღნიშნული შესაძლებლობების რეალიზების გზაზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ განათლების სფეროს კვალიფიციური კადრების ანაზღაურება არ არის დამაკმაყოფილი, რაც ხელს უშლის ახალი კადრების მოზიდვას.

საბოლოოდ, მთავარ საფრთხედ განისაზღვრა მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც საგრძნობლად აფერხებს მუნიციპალიტეტის განვითარებას, რადგან მოქმედი სამუშაო ძალის გადინება უარყოფითად აისახება ბევრ სფეროზე.

10.1 განათლების მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სკოლამდელი აღზრდის საფეხური სასკოლო მზაობის ცენტრი მუნიციპალიტეტში; მონიტორინგის წესის (შიდა მონიტორინგი და აუდიტი) ეფექტიანობა; კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; უწყებათაშორისი თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა; ინოვაციური პროგრამების დანერგვის გამოცდილება ზოგადი განათლების საფეხური ავტორიზებული სკოლებისა და სტატუსის (წამყვანი და მეორე) მქონე პედაგოგების მზარდი მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში; ფუნქციური და გამართული ბიბლიოთეკები სკოლებში; არაფორმალური განათლების წრეებზე ხელმისაწვდომობა პროფესიული განათლების საფეხური განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლები; პროფესიული სასწავლებლით დაინტერესების მაღალი ხარისხი; პროფესიული კოლეჯის არსებობა	სკოლამდელი აღზრდის საფეხური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღმა დარჩენილ მოსწავლეთა სტატისტიკის არარსებობა; სკოლამდელი განათლების მიმართ საზოგადოებაში არსებული არაერთგვაროვანი განწყობა (საზოგადოების ნაწილის არასერიოზული დამოკიდებულება); მოძველებული ინფრასტრუქტურა; შშშმ და სსსმ აღსაზრდელებისათვის ადაპტირებული გარემოს არარსებობა; ინკლუზიური განათლების არარსებობა; საგანმანათლებლო რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; მოძველებული და არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ინტერნეტზე შეზღუდული წვდომა; ტექნოლოგიური (კომპიუტერთან მუშაობის) უნარ-ჩვევების ნაკლებობა; დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება; მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი; შვილის/შვილების საგანმანათლებლო პროცესში მშობლების ჩართულობის დაბალი ხარისხი

	ზოგადი განათლების საფეხური სკოლების სუსტი ინფრასტრუქტურურა; სასკოლო რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; სკოლებში ლაბორატორიების არარსებობა; მწირი სპორტული ინვენტარი; STEM-ლაბორატორიების არარსებობა და ამ მიმართულებით პროფესიონალი კადრების დეფიციტი; სასკოლო შიდა მონიტორინგის სისტემების არქონა; მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ნაკლები პოპულარიზაცია; სატრანსპორტო საშუალებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა სოფლებში მცხოვრები ბავშვებისათვის პროფესიული განათლების საფეხური არაადაპტირებული გარემო და საგანმანათლებლო პროგრამები სხვადასხვა საჭიროების მქონე პირთათვის; ტრანსპორტის არახელსაყრელი განრიგი; სტერეოტიპული დამოკიდებულება ეკომეგობრული ტრანსპორტის მიმართ
შესაძლებლობები	საფრთხეები
სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურს შორის თანამშრომლობის გაღრმავება; თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან; მუნიციპალური ბიუჯეტის შედგენის პროცესში მოსახლეობის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება მათი ჩართულობის უზრუნველყოფის გზით; დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერების მიზნით შეხვედრების, სათემო აქციების, ტრენინგებისა და სხვა ტიპის შეხვედრების ჩატარება; ეკომეგობრული ტრანსპორტის გამოყენების წახალისება, მაგალითად ველომარათონების მოწყობა	მიგრაცია; საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი; საკეპტიკური დამოკიდებულება საგანმანათლებლო სფეროში ჩართული მხარეების მხრიდან; საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლების მოხალისეობრივად ჩართვის ნაკლები სურვილი; კომუნიკაციის უნარების ნაკლებობა; მუდმივი ცვლილებები ქვეყნის პოლიტიკაში

10.2 რეკომენდაციები

- დამატებითი ფინანსური რესურსების მოპოვება, რათა შესაძლებელი გახდეს ბალის პერსონალისთვის სწავლისა და განვითარების შესახებ არსებული თეორიების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (ტრენინგების ჩატარება), რაც შემდგომში დაეხმარება დაწესებულების თანამშრომლებს, ხელი შეუწყონ ბავშვზე ორიენტირებული და ბავშვის მოტივაციის ამაღლებისკენ მიმართული სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ჩამოყალიბებას;
- ისეთი პროექტების შემუშავება და განხორციელება, რომელთა მიზანიც იქნება აღსაზრდელების ზოგადი განათლების საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებული სირთულეებისა და ბარიერების ეფექტიანი მართვა;
- მშობლებისათვის შვილების სწავლების მეთოდოლოგიისა და თემატიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების შემუშავება;
- სკოლაში ლაბორატორიების მოწყობა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაუმჯობესების მიზნით;
- მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის მოქნილობის უზრუნველყოფა;
- ეკომეგობრული ტრანსპორტის პოპულარიზება მოსწავლეებში (მათი წახალისება ამ მიმართულებით);
- ენერგოეფექტიანი და მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარება;
- კარიერის დაგეგმვის მექანიზმის შექმნა-განხორციელება.

ახალგაზრდები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ხორციელდება მნიშვნელოვანი აქტივობები. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მერის სათათბირო ორგანოს – „ჩოხატაურის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს“ – არსებობა. საბჭოს წევრები ჩოხატაურში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები არიან და ისინი მოხალისეობრივად ახორციელებენ შემდეგ საქმიანობებს:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა და წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება მათი დაკმაყოფილების მიზნით;
- მონაწილეობა ჩოხატაურის მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, ასევე შესაბამისი ადვოკატირების კამპანიის წარმოება;
- მონაწილეობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში (მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს) და ახალგაზრდების მონაწილეობით ბიუჯეტირების პროგრამის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხორციელება;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება მუნიციპალი-

ტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის, პროგრამების, აქტივობების და სხვა არსებული შესაძლებლობების შესახებ;

- საზოგადოების ინფორმირება ახალგაზრდობის სფეროში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სხვადასხვა სფეროში ინფორმირებულობის ხარისხისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

ამასთან, ჩოხატაურის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში ახალგაზრდული ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოყოფილია თანხა 50 ათასი ლარის ოდენობით, რაც ითვალისწინებს ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერას, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარებას, ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართვას და სხვ.

გარდა ამისა, მუნიციპალურ დონეზე არსებობს ზრდასრულთა ცენტრი, რომელიც დაინტერესებულ პირებს (ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე) სთავაზობს ისეთ უფასო კურსებს, როგორიცაა: ხელსაქმე, თექაზე მუშაობა, კომპიუტერული ტექნოლოგიის შესწავლა, სამკერვალო საქმე, საქარგავი აპარატის გამოყენება და სხვ. მუნიციპალიტეტში სკოლის მოსწავლეებისთვის არსებობს სახელოვნებო და სპორტული წრეები, რომლებიც უზრუნველყოფილია ტრანსპორტით და მათში ჩართვა ბავშვებისთვის უმეტესად უფასოა.

სასკოლო დონეზე ახალგაზრდების დაინტერესებას ხელს უწყობს მათთვის სხვადასხვა კლუბში, მათ შორის, მეწარმეობის, STEM-საგნების, ეკოლოგიის, ლიტერატურის და ა.შ. კლუბებში, გაერთიანების შეთავაზება. აქ მოსწავლეებს ადგილზე (სკოლებში) შეუძლიათ ჩართვა, საკუთარი ინტერესების აღმოჩენა და ინიციატივების განხორციელება. მოსწავლეები ასევე ცდილობენ, გახდნენ თანატოლ-განმანათლებლები და თავიანთი ცოდნა გადასცენ სხვა დაინტერესებულ ახალგაზრდებს. ამასთან, მუნიციპალიტეტი სკოლის მოსწავლეებს უფინანსებს სასწავლო ექსკურსიებს მათი ინტერესების შესაბამისად. ეს პრაქტიკა ეხმარება მოსწავლეებს, მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა კულტურული ძეგლისა თუ ისტორიული ადგილის შესახებ, ამავე დროს, უვითარებს მათ პროექტების მომზადებისა და ადვოკატირების უნარ-ჩვევებს.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც მოსწავლეებს სთავაზობენ არაფორმალური განათლების წრეებს, საგრანტო კონკურსებს და სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობას. მათ შორისაა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბაზაზე არსებული არაფორმალური განათლების ცენტრი „ლიდერთა სკოლა“, ასევე ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“, რომლებიც აწყობენ ახალგაზრდებისთვის მცირე საგრანტო კონკურსებს.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ძლიერი მხარეებისა, იკვეთება ბევრი პრობლემაც. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის მაჩვენებელი დაბალია. ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, ინფორმაციის გავრცელების არასწორი/არასაკმარისი მექანიზმების გამოყენებით, მეორე მხრივ, თავად ახალგაზრდების სკეპტიკური დამოკიდებულებით. მათი დიდი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა

თუ სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში. მუნიციპალიტეტში არსებობს ახალგაზრდების ჯგუფი, რომლის წევრები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, მონაწილეობენ აქტივობებში და არიან სხვადასხვა იდეის ინიციატორები, თუმცა ახალგაზრდების დიდი ნაწილი ამ პროცესის მიღმა რჩება.

ახალგაზრდებში დაბალია სამოქალაქო ჩართულობის მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია მათი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობით, ასევე, იმით, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ აქვთ საკუთარი შემოსავალი, არ გრძნობენ თავს რეალიზებულად, რაც ნეგატიურად მოქმედებს მათ მოტივაციაზე, ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში. ზემოთ თქმულს ასევე უკავშირდება სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მართვის სერვისების არარსებობა, რაც ახალგაზრდებს ხელს უშლის სამომავლო პროფესიის არჩევისას. სამეწარმეო და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობაში მნიშვნელოვანი „წვლილი“ სწორედ სკოლას მიუძღვის, რადგან იგი ვერ ეხმარება ახალგაზრდებს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების დანახვაში. ასე რომ, მუნიციპალიტეტში არის მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, ადგილობრივ დონეზე სამუშაო ადგილების სიმცირე იმ ახალგაზრდებს, რომლებიც აკადემიურ განათლებას, ძირითადად, დედაქალაქში იღებენ, უბიძგებს იმისკენ, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ არ დაბრუნდნენ რეგიონებში და განვითარების შესაძლებლობა შედარებით დიდ ქალაქებში ეძიონ.

ახალგაზრდებისთვის (მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის) უმეტესად ხელმისაწვდომია სპორტული და სახელოვნებო წრეები, ასევე ბიბლიოთეკები. თუმცა ამ კუთხითაც არსებობს გამოწვევები, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდი არ არის შევსებული თანამედროვე ლიტერატურით. ასევე მუნიციპალურ სერვისებსა და წრეებზე წვდომაც ხშირად პრობლემურია, რადგან, მიუხედავად ტრანსპორტის არსებობისა, ჯეროვნად მაინც ვერ ხერხდება მოსწავლეების გადაადგილება სოფლიდან მუნიციპალურ ცენტრამდე.

მნიშვნელოვანი პრობლემაა შეკრებების სივრცეების სიმცირე, სადაც ახალგაზრდების ჯგუფებს ექნებოდათ შესაძლებლობა, ემსჯელათ საკუთარ და თემის საჭიროებებზე. ამასთან, მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით სოფლებში, შეზღუდულია ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე წვდომა, რაც აფერხებს ახალგაზრდების განვითარებას. ხშირად მათ არ აქვთ საშუალება, დაესწრონ თუნდაც online-შეხვედრებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, ან დასაქმდნენ დისტანციურ რეჟიმში.

მიუხედავად ახალგაზრდული პოლიტიკის არსებობისა და განხორციელებული აქტივობებისა, ამ ღონისძიებებს მეტწილად ერთჯერადი ხასიათი აქვს და ვერ მოაქვს ხელშესახები შედეგები. განსაკუთრებით რთულია შშმ პირების ჩართვა ამ პროცესში, რადგან არ არის მათთვის ადაპტირებული გარემო, ტრანსპორტი, თანაც, ცოტაა ქალებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც მათ ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობდა ხელს.

მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება ტექნოპარკის გახსნა, რაც გააძლიერებდა დაინტერესებას

ახალგაზრდებში ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მიმართულებით. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ტექნოპარკის გახსნა მუნიციპალიტეტში ახლო მომავალში იგეგმება.

მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსები, რომელთა ფარგლებშიც ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფებს ეძლევათ საშუალება არა მხოლოდ პროექტების განხორციელებისა, არამედ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა. ეს მნიშვნელოვანი გამოცდილებაა ნებისმიერი ახალგაზრდისთვის.

აგრეთვე აღინიშნა, რომ ისეთი პროგრამები, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა და სხვ., დამხმარე შესაძლებლობაა ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით ქალებისთვის, რომ წამოიწყონ მცირე ბიზნესი და გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე შექმნან დამატებითი სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის. გარდა ამისა, ადგილობრივ დონეზე მოქმედი პროფესიული კოლეჯიც განიხილება ახალგაზრდებისთვის იმის საშუალებად, რომ შეძლონ სხვადასხვა მოთხოვნად პროფესიაში კვალიფიკაციის ამაღლება და შემდგომ – დასაქმება.

მთავარ საფრთხედ მონაწილეები მიიჩნევენ ახალგაზრდების სკეპტიკურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის მიმართ, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ქვეყანაში პროცენტული წილი 15-29 წლის ახალგაზრდებისა, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგებს, 30.7%-ია. ახალგაზრდებში ამგვარი დაბალი მოტივაცია, ჩაერთონ ამა თუ იმ საგანმანათლებლო ან სხვა ტიპის აქტივობაში, ქმნის ადგილობრივ დონეზე კადრების და სამუშაო ძალის დეფიციტის კიდევ უფრო გაზრდის საფრთხეს და, ზოგადად, ხელს უშლის სიახლეების დანერგვას, რაც აფერხებს პროგრესს.

ამასთან, საფრთხის შემცველია ახალგაზრდების დამოკიდებულება მავნე ნივთიერებებზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სოფლებში ნაკლებად მიმდინარეობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ასევე მაღალია დაუსაქმებელი ახალგაზრდების პროცენტული წილი.

10.3 ახალგაზრდების მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ზრდასრულთა ცენტრის არსებობა; სახელოვნებო და სპორტული წრეების არსებობა; სკოლებში ეკოლოგიის, STEM და სხვა მიმართულებების კლუბების არსებობა; არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა სხვადასხვა არაფორმალური აქტივობის განხორციელებაში; არაფორმალური განათლების ცენტრი „ლიდერთა სკოლა“; ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“	ახალგაზრდების მხრიდან ინიციატივების ნაკლებობა და დაბალი მოტივაცია; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა; ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი; ადგილობრივ დონეზე საშუალო ადგილების დეფიციტი; შეზღუდული ხელმისაწვდომობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა თუ ინტერნეტზე; ახალგაზრდული სივრცეების სიმცირე; მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგის შეუთავსებლობა ახალგაზრდების საჭიროებებთან; სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მართვის სერვისების არარსებობა; სოფლად ბიბლიოთეკების მწირი წიგნადი ფონდი; სივრცეების არქონა ახალგაზრდების შეკრებისთვის; ახალგაზრდა ქალებისთვის სხვადასხვა სახის პროგრამების სიმცირე
შესაძლებლობები	საფრთხეები
ტექნოპარკის გახსნა; საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსები; სახელმწიფო პროგრამების გაძლიერება მუნიციპალიტეტში; პროფესიული კოლეჯისა და ბიზნესის/კერძო სექტორის თანამშრომლობითი პრაქტიკის ჩამოყალიბება	მოსწავლეების სკეპტიკური დამოკიდებულება სასწავლო პროცესების მიმართ; მიგრაციის მზარდი მაჩვენებელი; ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდებში ინფორმაციის გავრცელების ეფექტიანი მექანიზმების არარსებობა

10.4 რეკომენდაციები

- ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე კადრების გადამზადება, ასევე, ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება;

- არაფორმალური შეკრებებისათვის სივრცეების შექმნა არა მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრში, არამედ სოფლის ტიპის დასახლებებშიც;
- უკეთესია, აქტივობები დაიგეგმოს არა მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრში, არამედ სოფლებშიც. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი აქტივობა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მუნიციპალურ ცენტრში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები პირებისთვის.
- ახალგაზრდების ინფორმირება სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობის, მისი ფორმებისა და მექანიზმების შესახებ.

სპორტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, ბალახის ჰოკეის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის, ტაილანდური კრივის, მხატვრული ტანვარჯიშის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის სპორტულ წრეებს. ისინი დაინტერესებული მოსწავლეებისთვის არის უფასო. მრავალფეროვანი სპორტული წრეების არსებობა მოზარდების ინტერესებს მაქსიმალურად აკმაყოფილებს, რაც ხელს უწყობს მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის განმტკიცებას. გარდა ამისა, სპორტულ წრეებში ახალგაზრდების ჩართვის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფელია ტრანსპორტი, რომელსაც ისინი უფასოდ გადაჰყავს სოფლებიდან მუნიციპალური ცენტრის მიმართულებით. ამასთან, აქ მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ხშირად იმართება სპორტული ღონისძიებები, სასკოლო ოლიმპიადა, რომლებსაც მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის მერია. გარდა ამისა, სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია ახალგაზრდების ინიციატივები და მათი ინტერესები. ასევე არსებობს შშმ პირების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის გამოცდილება, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ შეინიშნება ტენდენცია, ზოგიერთი სპორტული ღონისძიება გადატანილ იქნეს სოფლებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა და, სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, არა მუნიციპალურმა ცენტრმა, არამედ სწორედ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებმა უმასპინძლონ შეჯიბრებებს. მსგავსი პრაქტიკა სტიმულს აძლევს სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს, საკუთარ საცხოვრებელ არეალში შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების აღმოჩენა თუ წარმოჩენა.

გარდა ამისა, „დინამო თბილისის აკადემია“ ბავშვთა ფეხბურთის მიმართულებით ახორციელებს საპილოტე პროექტს „დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლები რეგიონებში“. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ჩართულია ამ პროგრამაში. პროექტი ითვალისწინებს ტალანტების მოძიებას, მწვრთნელების გადამზადებას, ფეხბურთელების სტაჟირებას დინამოს აკადემიაში, რეგიონული ნაკრები გუნდების შექმნას, რეგიონული ტურნირებისა და ფესტივალების ორგანიზებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტრენერებად გადამზადდნენ ადგილობრივი კადრები, მოსწავლეების გადასახადს კი უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლება.

მართალია, ზოგ სოფელში არის მინიმოდნები, მაგრამ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დახურული დარბაზები მხოლოდ ორ სოფელში გვხვდება. ეს ზღუდავს ახალგაზრდებს, ინტენსიურად

ივარჯიშონ და ჩაერთონ სპორტულ აქტივობებში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა წრეს ემსახურება ტრანსპორტი, მაინც ჭირს სოფლებიდან (განსაკუთრებით ცენტრიდან მოშორებით მდებარე სოფლებიდან) ბავშვების გადაადგილება.

ყურადსაღები გამოწვევაა კვალიფიციური კადრების სიმცირე ადგილობრივ დონეზე. ერთი მხრივ, რთულია ახალი კადრების მოძიება, მეორე მხრივ, უკვე მოქმედი ტრენერები საჭიროებენ გადამზადებას. არაკვალიფიციური კადრები კი ქმნიან დამატებით პრობლემებს – მაგალითად, არასწორი გამოყენების შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი სარბენი ბილიკი.

კიდევ ერთი პრობლემაა სპორტული ინვენტარის სიმცირე, არსებული კი მეტწილად მოძველებულია. ასევე გასამართავია სპორტული ინფრასტრუქტურაც. სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე გამოყოფილი თანხა 2023 წელთან შედარებით (1433,5 ათასი ლარი) შემცირებულია და 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში შეადგენს 1125 ათას ლარს. ასევე, 2023 წლის მონაცემთან შედარებით (25 ათასი ლარი), მეტია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვისთვის, რეაბილიტაციისთვის, მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა, რომელიც 20 ათას ლარს შეადგენს. მიუხედავად დიდი მოთხოვნის არსებობისა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არ არის საცურაო აუზი, რაც ხელს უშლის სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას.

სპორტულ ინფრასტრუქტურაზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ სპორტულ კლუბებში ჩართვა, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონებისთვის, ბევრ გამოწვევას უკავშირდება – ერთი მხრივ, ნაკლებად არის გათვალისწინებული მათი ინტერესები სპორტული სახეობების შეთავაზების დროს; მეორე მხრივ, მოუწესრიგებელია, ან საერთოდ არ არსებობს მათთვის გასახდელები, საშაპეები. ეს დამატებითი დისკომფორტია სპორტით დაინტერესებული გოგონებისთვის და ქმნის გენდერულ უთანასწორობას. სპორტი და ცხოვრების ჯანსაღი წესი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი სქესისა თუ ასაკის და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანისთვის.

სპორტის მართვა არის საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენცია, ხოლო სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვადასხვა სამინისტროს პრეროგატივაა. შესაბამისად, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა უფრო მეტად უნდა იზრუნოს ადმინისტრაციულ ერთეულებში სპორტული შეკიბრებების, საგანმანათლებლო სპორტული პროგრამების განხორციელებაზე, სპორტული კლუბების ჩამოყალიბებასა და დაფინანსებაზე. ეს შესაძლებლობა რომ გამოყენებულ იქნეს, მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ჩაერთოს ადგილობრივი მოსახლეობა, რათა სწორედ მისი საჭიროებების გათვალისწინებით დაიგეგმოს და განხორციელდეს მუნიციპალიტეტებში სპორტის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები და პროექტები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების გზაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გახდება ახალი სპორტული კომპლექსი (როცა მისი მშენებლობა დასრულდება). ის მოიცავს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, მათ შორის, სპორტის საწყლოსნო სახეობებსაც (იქნება საცურაო აუზი).

სპორტის სახეობებსა და ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობის მხრივ არსებული გენდერული

უთანასწორობისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვან შესაძლებლობად განი-საზღვრა ქალებისა და გოგონების ინტერესების გათვალისწინებით სპორტული წრეების დამა-ტება/შექმნა, ასევე, შესაბამისი დონორებისა და ფონდების მოძიება და პროექტების მომზადება მათთვის შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით.

დონორებისა და ფონდებისთვის საინვესტიციო შეთავაზებები ასევე მნიშვნელოვანი შესაძ-ლებლობაა მუნიციპალიტეტში, რათა შეიქმნას მეტი სპორტული სივრცე არა მხოლოდ მუნიციპა-ლურ ცენტრში, არამედ მის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

რაც შეეხება კადრების კვალიფიკაციას, ამ მიმართულებით შესაძლებლობად განიხილება თანამშრომლობა პროფესიულ კოლეჯთან, რომელშიც შესაძლებელია, პროგრამას დაემატოს ამ მიმართულებით სასწავლო მოდულები, რაც ხელს შეუწყობს ახალი კადრების მოზიდვას და არსებულის გადამზადებას. გარდა ამისა, შეიძლება სპორტული სერვისების შესყიდვა მუნიციპა-ლიტეტის მიერ ბაზარზე არსებული პროვაიდერებისგან, რამაც, შესაძლოა, პოზიტიური გავლენა მოახდინოს ახალგაზრდებისა და სხვა დაინტერესებული პირების მოტივაციასა და მიწოდებული მომსახურების ხარისხზე.

რაც შეეხება საფრთხეებს, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, როდის ექნება ჩოხატაურის მუ-ნიციპალიტეტს სპორტული კომპლექსი, არამდგრადი პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში არსებობს პროექტის შეჩერების ან განუხორციელებლობის საფრთხე, რაც საგრძნობლად დაა-ზარალებს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საშიშროება, გაჭირდეს ისეთი საინიციატივო ჯგუფების შექმნა, რომლებიც იმუშავებენ დონორების მოძიებასა და პროექტების მომზადებაზე, რადგან მუნიციპალიტეტში ამგვარი გამოცდილება მწირია. ამასთან, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული მსგავსი ინფორმაციის მიწოდება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. გარდა ინფორმირებულობის დეფიციტისა, ახალგაზრდებში დაბალია მოტივაცია, ერთი მხრივ, ჩაერთონ სპორტულ აქტივობებში, მეორე მხრივ, წვლილი შეიტანონ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს ვანდალიზმის ფაქტებიც, რის შედეგადაც ზიანდება სპო-რტული ინფრასტრუქტურა, ინვენტარი.

კვლავ საგრძნობ საფრთხედ რჩება შიდა და გარე მიგრაცია, რაც აფერხებს ნებისმიერი სფე-როს განვითარებას მუნიციპალიტეტებსა თუ სოფლებში.

10.5 სპორტის მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სპორტის მასობრივ სახეობებზე წვდომის შესაძლებლობა; ადგილობრივი ქალთა ფეხბურთის გუნდის დიდი მიღწევები, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე; მუნიციპალურ დონეზე არსებული სპორტული წრეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პრაქტიკა; ფეხბურთის აკადემიის ფუნქციონირება; სკოლებში სპორტული ინვენტარის არსებობა; სპორტით დაინტერესების ტენდენცია ახალგაზრდებში; საცურაო აუზზე ხელმისაწვდომობა	მწირი და მოძველებული სპორტული ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სოფლებში; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მექანიზმების არაეფექტურობა; ახალგაზრდების დამოკიდებულება მავნე ნივთიერებებზე; კვალიფიციური ტრენერებისა და პედაგოგების სიმცირე ადგილობრივ დონეზე; შშპ პირების სპორტულ აქტივობებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი; მუნიციპალურ წრეებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა ტრანსპორტის განრიგის მოუქნელობის გამო
შესაძლებლობები	საფრთხეები
საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; პროფესიული კოლეჯის მიერ სასპორტო განათლებისა და პროგრამების დანერგვა; ინვესტორების/დონორების მოძიება	ახალგაზრდებში მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი; კადრების მოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები; ახალგაზრდებში სპორტით დაინტერესების შედარებით დაბალი მაჩვენებელი

10.6 რეკომენდაციები

- სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- სკოლებისთვის სასპორტო სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება;
- მუნიციპალიტეტსა და პროფესიულ კოლეჯს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბება;
- მასობრივი სპორტის განვითარება მუნიციპალიტეტში;
- სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა

11. კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა

ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის ჩამოყალიბება სხვადასხვა მხარეს შორის და კარგი საჯარო მმართველობის პრაქტიკის დანერგვა გურიის რეგიონისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქვემოთ მოცემული ფაქტორები ხელს უწყობს და უზრუნველყოფს კარგი საჯარო მმართველობის პრაქტიკის დანერგვას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს შორის (განსაკუთრებული როლი ენიჭება ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას) მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია, კერძოდ:

1. გამჭვირვალობა: თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისინი უფრო მეტად აცნობიერებენ მას.
2. ჩართულობა: ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართვა კონსულტაციების გაცემისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელს უწყობს ინკლუზიურობის ზრდას.
3. კომუნიკაცია/კოორდინაცია: მკაფიო და ხელმისაწვდომი კომუნიკაცია/კოორდინაცია მხარეებს შორის უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობას და ზრდის მის მოტივაციას, ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

